7704
საქართველოს სახ. საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ხუთშაბათი 2 ოქტომბერი 1941 წ. № 233 (6238) ფასი 15 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП(б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხალხის სამხედრო მომზადება

სტალინურმა კონსტიტუციამ სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმინდათა-წმინდა მოვალეობად გამოაცხადა. ახლა, როდესაც ჩვენს სამშობლოს თავს დასტრიალებს სერიოზული საშიშროება, დადგა დრო ეს ვალი იარაღით მოვიხადოთ ბრძოლის ველზე მტერთან შებმით; დადგა დრო, როდესაც მთელმა ხალხმა მედგრად უნდა დაიცვას იარაღით მშრომელთა მონაპოვარი, რომელიც განმტკიცებულია სტალინური კონსტიტუციით.

წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი მეოთხე თვეა მედგარ ბრძოლებს ეწევიან მტრის წინააღმდეგ უფართოეს ფრონტზე. ჩვენს სახელოვან მებრძოლებთან, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებთან ერთად მხარდამხარ იბრძვიან იარაღით ხელში სახალხო ლაშქრისა და წითელ პარტიზანთა რაზმები. გათავხედებულ მტერს მძიმე ლახვარს ვცემთ. მტერი სისხლისაგან იცლება; მისი ადამიანთა რეზერვები დღითიდღე ილევა. მაგრამ მტერი ჯერ კიდევ ძლიერია, იგი კვლავ გვაყრის ახალ-ახალ ძალებს. ომი გახანგრძლივდა. იგი ჩვენგანაც მოითხოვს მხედრულად გაწვრთნილ დიდ რეზერვებს. ამ რეზერვებს იძლევა სსრ კავშირის მოქალაქეთა საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლება.

დღეს იწყება საყოველთაო სამხედრო სწავლება. სამხედრო საქმეს ისწავლის სსრ კავშირის მამრობითი სქესის ყველა მოქალაქე 16-დან 50-მდე წლის ასაკისა, რომელთაც იარაღის ხმარება შეუძლიათ. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები, წითელარმიელები და წითელფლოტელები საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა ერთობლივ სამხედრო ორგანიზაციად ერთიანდებიან.

აჯამებდა რა ორი წლის სამოქალაქო ომის შედეგებს, ლენინი ამბობდა: „ომი ყოველი ერის მთელი ეკონომიური და ორგანიზაციული ძალების გამოცდაა. ბოლოსდაბოლოს ორი წლის გამოცდილების შემდეგ, რა უსაზღვროდ მძიმეც უნდა იყოს ომი მუშებისა და გლეხებისათვის, რომლებიც შიმშილითა და სიცივით იტანჯებიან, ორი წლის გამოცდილების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ვიმარჯვებთ და კიდევაც გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენ გვაქვს ზურგი და მტკიცე ზურგი, რომ გლეხები და მუშები, შიმშილისა და სიცივის მიუხედავად, შემჭიდროებული არიან, განმტკიცდნენ და ყოველ მძიმე დარტყმას ძალების შემჭიდროებით და ეკონომიური ძლიერების გადიდებით უპასუხებენ...“

საბჭოთა ხალხი ფაშიზმთან სისხლისმღვრელი შებმის მძიმე დღეებში, ისევე როგორც სამოქალაქო ომის წლებში, ცხადჰყოფს თავის უსაზღვრო ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, თავის უდიდეს დარაზმულობას, თავისი ძალების შემჭიდროებასა და ეკონომიურ ძლიერებას. იგი მზად არის ყველაფერი გაიღოს მტრის გასანადგურებლად. მაგრამ ფაშისტთა ურდოების გასანადგურებლად საჭიროა ვიცოდეთ ყოვლისშემმუსვრელი საბრძოლო იარაღის ხმარება. ამ ცოდნას სწორედ ხალხის სამხედრო მომზადება იძლევა.

სამხედრო საქმის საყოველთაო სავალდებულო სწავლება საბჭოთა კავშირის ყოველ მოქალაქეს, რომელსაც იარაღის ხმარების უნარი აქვს, გამხეცებულ ფაშისტთა ურდოებთან პრაქტიკულ ბრძოლას შეასწავლის. თვითეულმა მოქალაქემ უნდა შეითვისოს სამხედრო ჩვევები ცალკეული მებრძოლებისა, რომელსაც უნარი აქვს დამოუკიდებლად და თავისი ქვეგანაყოფის შემადგენლობაში იმოქმედოს ბრძოლის ველზე.

მან უნდა იცოდეს სამხედრო წყობილება, შაშხანა, მარჯვედ სროლა, დაუფლებული უნდა იყოს ხიშტსა და ნიჩაბს, უნდა შეეძლოს ხელყუმბარისა და საწვავსითხიანი ბოთლის ტყორცნა, დაზვერვა, უნდა შეისწავლოს ქიმიური დაცვის საშუალებანი, უნდა შეეძლოს სანგრის გაკეთება და თავის შენიღბვა.

საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა წარმატებითი სამხედრო მომზადებისათვის სახელმწიფოს წინაშე სრული პასუხისმგებლობა აკისრია საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების უფროსთა, ინსტრუქტორთა და სამხედრო-პოლიტიკურ შემადგენლობას. მასზეა დამოკიდებული საქმის წარმატება. ბევრ მათგანს თვითონაც დასჭირდება სერიოზული სწავლა, ვინაიდან ახლანდელი ომი უფრო დიდ მოთხოვნებს გვიყენებს.

სამხედრო მომზადება საბრძოლო ვითარების შესაბამის პირობებში უნდა ხდებოდეს. იგი მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოიღებს საჭირო შედეგს. ჩვენ ამჟამად ვომობთ, ვეომებით ჩვენს მოსისხლე მტერს. დღევანდელი დაზგის მუშა შეიძლება ხვალ ბრძოლის ველზე აღმოჩნდეს. მაშასადამე, იგი უნდა იცნობდეს თანამედროვე სამხედრო ტექნიკას, იმ გამოცდილებას, რომელიც მებრძოლებმა ფრონტზე მოიპოვეს.

სასწავლო პუნქტები უნდა უზრუნველვყოთ იარაღითა და ინვენტარით. პროფკავშირული და თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების კუთვნილი სასწავლო ხელსაწყოები, იარაღი, ტირები—ყველაფერი უნდა დავუქვემდებაროთ საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა საყოველთაო სამხედრო სწავლების ამოცანას. იქ, სადაც ჯერ კიდევ არ მოიპოვება სასწავლო იარაღი, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მაკეტები. კლუბი სამხედრო ცოდნის კერა უნდა გახდეს, თავდაცვის სახლები საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების სახლებად უნდა გადაიქცეს. სასპორტო ორგანიზაციები მოვალენი არიან დაეხმარონ საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლებას სათხილამურო მომზადებაში, უნდა შეასწავლონ სამხედრო საქმის ყველა შემსწავლელს თხილამურით სიარული, უნდა შეასწავლონ, რომ თხილამურიანს სროლა შეეძლოს.

პარტიულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საყოველთაო სამხედრო სწავლების მოწყობასა და ჩატარებაში. კომუნისტები და კომკავშირელები მოვალენი არიან მაგალითი იყვნენ ყველასათვის, ისინი საყოველთაო სამხედრო ცოდნისათვის ბრძოლის ავანგარდში უნდა იდგნენ.

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით გამოეხმაურა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებას საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სწავლების შესახებ. სამხედრო სწავლება ჩვენს ქვეყანას მილიონობით მისცემს ახალ მომზადებულ მეომრებს, რომელნიც საჭიროების ჟამს მარჯვედ, მამაცურად და უშიშრად გაანადგურებენ გამხეცებულ მტერს, ჩვენს წმინდათა-წმინდა მიწა-წყალზე თავდასხმა რომ გაბედა.

„პრავდის“ მოწინავე, 1/X

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

1 ოქტომბრის დილის ცნობა

30 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან მთელ ფრონტზე.

* * *

1 ოქტომბრის საღამოს ცნობა

წინასაოქტომბრო შეჯიბრება

„უშედეგო ფსიქიური იერიში“

ოდესის გმირული დაცვის 52 დღე

პირველი ათეული ათასი ფუთი შაქარი

აგარა, 30 სექტემბერი (საქინფორმი). ახალი საწარმოო სეზონის პირველ ხუთ დღეს აგარის შაქრის ქარხანამ რამდენიმე ათეული ათასი ფუთი შაქარი გამოუშვა.

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია

წყალტუბოს რაიონს წელს სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა 150 ტონა და 500 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. ფაქტიურად ჩაბარებულია 153 ტონა და 500 კილოგრამი—გეგმის 101, 9 პროცენტი.

პარკის ჩაბარება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომის მდივანი ვ. ტოგონიძე

ემზადებიან ციტრუსების უხვი მოსავლის კრეფისათვის

ეროვნული

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე

კაპიტან ჯახიძის ჯავშნიანი მატარებელი

მოსკოვი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). „იზვესტიას" კორესპონდენტი მოქმედი არმიიდან ლ. პერვომაისკი „იზვესტიას" ფურცლებზე მოგვითხრობს სახელოვანი ჯავშნიანი მატარებლისა და მისი მეთაურის კაპიტან ჯახიძის საგმირო საქმეებს. კაპიტანმა ჯახიძემ, რომელიც თბილისში დაიბადა, მუდამ იქ ცხოვრობდა და დაამთავრა საარტილერიო სასწავლებელი, მთელი თავისი მგზნებარე ენერგია და დაუღალავობა გადაიტანა უკრაინის ველებზე. ომის პირველივე დღიდან მონაწილეობს რა ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში, იგი თვითონ დადის დაზვერვაში მინდვრად, თვითონ მიდის თავისი ჯავშნიანი მატარებლის ცეცხლის კორექტირებისათვის.

რამდენიმე დღის წინათ კაპიტანი ჯახიძე მიუახლოვდა მტრის საცეცხლო პოზიციებს და 300 მეტრის მანძილიდან მკაფიოდ დაინახა თავისი ქვემეხების ცეცხლით დაზიანებული მტრის ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი. იგი მიცოცდა ზარბაზანთან, გამოიღო საკეტი და მშვიდობიანად დაბრუნდა მატარებელზე.

საღამოს ჯავშნიანი მატარებელი ფაშისტთა ტანკსაწინააღმდეგო რაიონს წააწყდა. ბრძოლა განსაკუთრებით ფიცხელი იყო. მტრის ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნები ხუტორს იქით მომწიფებულ სიმინდის ყანაში იდგნენ. ჯავშნიანი მატარებლის არტილერისტები ესროდნენ პირდაპირი დამიზნებით. ქვემეხის მეთაურმა იაკოვლევმა და მემიზნემ ნასიროვმა დააზიანეს გერმანელთა ერთი ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი. მეორე ზარბაზანი მოსპეს ქვემეხის მეთაურმა მურტაზინმა და მემიზნე გორიაჩევმა.

— გადავარდა! მოვარტყი! — შესძახა მურტაზინმა, თავისი ნასროლის შედეგი რომ დაინახა. იმავე წუთს იგი დაიჭრა. ერთსა და იმავე დროს ყუმბარის სამი ნამსხვრევი მოხვდა. თვალები სისხლით აევსო. ქვემეხის მეთაურობა მემიზნე გორიაჩევმა იკისრა. იგი მტრის გამანადგურებელი იმავე ძალით განაგრძობდა ბრძოლას.

რამდენიმე დღის შემდეგ ახალ ბრძოლაში საუცხოოდ გამოიჩინა თავი წითელარმიელმა ვალოვმა.

ბრძოლის დროს ქვემეხში ჭურვის მასრა გაიჭედა. წითელარმიელი მტრის სასტიკი ცეცხლის ქვეშ ავიდა ჯავშნიანი მატარებლის სახურავზე და გამოაგდო ჭურვის გაჩხირული მასრა.

... წინ გადაჭიმული იყო მტრის ღია პოზიციები. კაპიტანმა ჯახიძემ დაზვერვის საშუალებით გამოარკვია, სად იყო ფაშისტთა საცეცხლო წერტები. ჯავშნიანი მატარებელი სრული სიჩქარით გაემართა მიზნისაკენ, მაგრამ ხაზი მტერს უკვე წინასწარ ჰქონდა ამოღებული მიზანში. როდესაც ჯავშნიანმა მატარებელმა მტერს სროლა აუტეხა, ფაშისტებმა არ დააყოვნეს პასუხის გაცემა. ჯავშნიანი მატარებელი სროლისაგან ზანზარებდა. იგი გზავნიდა ქვემეხების ზათქებს. საპასუხო ჭურვები და მახლობლად აფეთქებული ნაღმების ნამსხვრევები ეცემოდნენ მძლავრ ჯავშანს, მასზე ცხელ ნიშნებს სტოვებდნენ, მაგრამ არსებითი ზიანის მიყენება არ შეეძლოთ.

შემდეგ მთლიან გუგუნსა და სტვენაში შეიჭრა ახალი ბგერები: მტერმა დაიწყო 76 მილიმეტრიანი ქვემეხების სროლა. ჭურვი მოხვდა უკანა ჯავშნიანი ბაქნის ჯავშანმჭრელ ფილს, ბუფერს ცოტა ზემოთ, მაგრამ ვერ გახვრიტა. ამას მოჰყვა მეორე დარტყმა თითქმის იმავე ადგილას, ჭურვი შევარდა ჯავშნიანი ბაქნის ერთერთ განყოფილებაში.

მემიზნე ნასიროვი დაიღუპა მამაცთა სიკვდილით თავის საგუშაგოზე. კაპიტანი ჯახიძე დაიჭრა.

ჯავშნიანი ბაქანი რელსებიდან გადავარდა. მატარებელი გაჩერდა. მეტყვიამფრქვეველმა სერჟანტმა კოლომოიცევმა მოაწყო დაჭრილთა ევაკუაცია. მან საბნებიდან გააკეთა საკაცე, თვითონ გამოჰქონდა ტყვიებითა და ყუმბარის ნამსხვრევებით დაჭრილი მებრძოლები და საექიმო დახმარების პუნქტზე გზავნიდა.

ფეხში დაჭრილი კაპიტანი გამოვიდა მატარებლიდან, მაგრამ ოციოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ დაეცა და გრძნობა დაკარგა. იგი დაუყოვნებლივ აიყვანეს მებრძოლებმა და თავშესაფარში მოათავსეს.

მძიმედ მქშინავი ჯავშნიანი მატარებელი იდგა ლიანდაგზე მტრის განუწყვეტელი სასტიკი ცეცხლის ქვეშ. პოლიტხელი შევდოვი, რომელმაც თავისთავზე აიღო მეთაურობა, შეუდგა პასუხსაგები და რთული ამოცანის შესრულებას: საჭირო იყო ჯავშნიანი ბაქნის დაყენება რელსებზე და გაყვანა ცეცხლის არედან. მუშაობა მთელ ღამეს გრძელდებოდა.

აღმდგენი ბრიგადის დახმარებით ჯავშნიანი მატარებელი დილისათვის კვლავ დადგა რელსებზე. ღამეს უშედეგოდ არ გაუვლია.

აი რელსებზე დგას და ორთქლით ქშენს კაპიტან ჯახიძის ამაყი და ლამაზი ჯავშნიანი მატარებელი. მის ჯავშნიან ფილებს ემჩნევა მედგარი ბრძოლების კვალი. ერთერთი ჯავშნიანი ბაქნის ამბრაზურაში ხეებს იქით ნათლად ვხედავთ ტყის მარჯვნივ გადაჭიმული მშობლიური ქალაქის კვამლსადენებსა და სახურავებს. ველზე გაშენებული, ბაღებში ჩამალული უკრაინის ქალაქი ბრძოლის ხაზს იქით დევს. იქ გერმანელები არიან. მარჯვნივ ელევატორი იწვის. კვამლი სექტემბრის მოწმენდილ ცაში ადის. ჩვენ იქიდან განვდევნით ფაშისტებს! ცაში ჩვენი თვითმფრინავი გამოჩნდა. გაისმის ზარბაზნების მიყრუებული გრიალი. ახალი ფიცხელი ბრძოლა მოგველის.

მოქმედი არმია. № ნაწილის მესანგრე-მზვერავი, ზემდეგი ნ. ჩარკვიანი, რომელმაც საბრძოლო ოპერაციის დროს მტრის 18 ნაღმი გააუვნებლა. ფოტო რ. მაზელევისა (საკდესი)

თეთრფინელთა ფრონტი და ზურგი

აოხრებული, გაღატაკებული ფინეთი, რომელსაც ჰიტლერის ფარეშებმა თავს მოახვიეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უგუნური ომი, მძიმე დღეებს განიცდის. ამას მოწმობს ფრონტიდან მოსული და ფრონტზე გაგზავნილი მრავალი წერილი, ტყვეთა ჩვენება, დღიურები, გაზეთები, რომლებიც ჩვენი ჯარის ნაწილებმა ბრძოლის დროს ხელში ჩაიგდეს ფინელთაგან. ფრონტსა და ზურგში მატულობს გულგატეხილობა, სასოწარკვეთილება, ომის წარმატების რწმენის უქონლობა.

* * *

საბჭოთა კავშირთან ომი სულაც არ აღმოჩნდა „იოლი სამხედრო გასეირნება". „ეს ომი კი არა, რაღაც ჯოჯოხეთია,—სწერს თავის ცოლს უნტერ-ოფიცერი ლიახტენოია.—გზებზე გავლა შეუძლებელია, რუსების არტილერია გამუდმებით გვირტყამს, ტყეში კი დანაღმული ველები და რუსი ჯარისკაცების პოზიციებია; რუსი ჯარისკაცები ეშმაკებივით ისვრიან. წინიდან რუსი ჯარისკაცები გვყავს, უკან რუსი პარტიზანები".

უმცროსი სერჟანტი ნევალა ნიილო სწერს თავის დას: „როდესაც რუსების არტილერია ამუშავდება, ყველა ცდილობს როგორმე დაიმალოს, როგორმე გადაირჩინოს თავი".

ფინელ ჯარისკაცს ვერ გაუგია, თუ რისთვის ომობს, რისთვის უნდა მოკვდეს. „ჩვენ არ ვიცით, რად უნდა ფინეთს ეს ომი"—აი ფრაზა, რომელსაც ვკითხულობთ მრავალ წერილში, ჩვენ რომ ხელში ჩაგვივარდა და ამიტომაც ფაშისტურმა ცენზურამ ვერ მოასწრო მათი დამუშავება.

ფინელ ჯარისკაცთა შორისაც მასობრივად მატულობს განწირულობის განწყობილება. „მე ნუ მელით, ალბათ, ველარ დავბრუნდები, თუნდაც ომი ერთი თვის შემდეგ გათავდეს. რუსები ერთობ სასტიკად იბრძვიან". ამას სწერს მშობლებს უხრო რეიმილი.

ფინეთის არმია ნახევრად მშიერია. მოკლული ფინელი ოფიცრის ჩემოდანში კონსერვები აღმოჩნდა. წითელარმიელებმა გახსნეს ერთი ქილა, რომელშიც რაღაც მყრალი რამ აღმოჩნდა. მეორე თეთრფინელი ოფიცრის ჩანთაში ქატოს მაგარი შავი კვერები ელაგა. ეს ოფიცრის ულუფაა, ჯარისკაცთა სანივთო ჩანთაში საჭმელი ან არაფერია, ანდა დაფქვილ ქერს, ზოგჯერ კი დამპალ ბურღულს თუ შეხვდებით.

თეთრფინელთა არმიას ტანსაცმელი აკლია. ერთი ასეულის ტყვე ჯარისკაცებს — ზოგს საზაფხულო, ზოგს კი საზამთრო ტანისამოსი ეცვა, ზოგიერთი კი სამოქალაქო ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით იყო.

ფინეთის არმიის ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის ძლიერდება გაბოროტება გერმანელ „მოკავშირეთა" წინააღმდეგ. ფაშისტურმა გერმანიამ ფინეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაითრია და „ყოველგვარი დახმარება" აღუთქვა. ახლა იგი ცდილობს ნარი სხვისი ხელით ჰგლიჯოს. ტყვე ახონკე რეინო ამბობს:

„გერმანელთა ჯარის ნაწილები ბრძოლაში თითქმის არ მონაწილეობენ. ისინი უკან მოდიან ხოლმე, ხოლო, თუ რუსების პოზიციებს წააწყდნენ, გერმანელი ოფიცრები ფინელთა ჯარის ნაწილებს ბრძანებას აძლევენ წინ წაიწიონ, თვითონ კი ზურგში იხევენ.

სწორედ იქ ხედავენ მათ საკმაო რაოდენობით. მათ თავი თავხედურად, ბატონურად უჭირავთ, ფინელ ჯარისკაცთა ცოლებს ეარშიყებიან".

ამ უკანასკნელ კვირებში დეზერტირობა გახშირდა ფინეთის არმიაში. ფინეთის რადიო ყოველდღიურად აქვეყნებს დეზერტირ ჯარისკაცთა გრძელ სიებს, რომელნიც დაუყოვნებლივ უნდა იქნან დაპატიმრებულნი. 51-ე ქვეითი პოლკის მე-7 ასეულის ტყვე ჯარისკაცი არნე სამალსაარი ამბობს:

„ჩვენი ასეულიდან უკვე გაიპარნენ ჯარისკაცები პაავო ლეხტინენი, იალოვა, კაერტო, კარი მილიუნიიტიუ".

მესანგრეთა ბატალიონის მე-3 ასეულის კაპრალი ტალვინტიე მოწმე იყო, რომ ერთმა ჯარისკაცმა იარაღის დარიგებისას უარი განაცხადა შაშხანის მიღებაზე, თუმცა იცოდა, რაც მოელოდა ამისათვის.

ბრძოლაში წასვლის სურვილის უქონლობას ფინელი ჯარისკაცი ხშირად უფრო გადამწყვეტ მოქმედების დროსაც გამოხატავს. ფინელთა 31-ე ქვეითი პოლკის მე-6 ასეული ჩვენს ცეცხლში აღმოჩნდა. ასეულის მეთაურმა ქეიკინენმა ბრძანება გასცა ასეული შეტევაზე გადასულიყო, მაგრამ არც ერთი ჯარისკაცი არ დაიძრა სანგრიდან.

„მეთაური იარაღს იქნევდა და ცოფმორეული ყვიროდა, ამბობს ამ ასეულის ტყვე ჯარისკაცი კუბტი კორხონენი,—ხოლო როცა გაafთრებით გაიმეორა თავისი ბრძანება, მთელი ასეული წამოიშალა და უკან გაიქცა".

მეთაურის ბრძანების შეუსრულებლობის ასეთსავე შემთხვევას გადმოგვცემს ტყვე რაატუნენ არვი.

* * *

ჩვენს ხელთ არის ქალაქ ულეაბორგში გამომავალ გაზეთ „კალევას" რამდენიმე ნომერი. მესამე და მეოთხე ფურცელი თითქმის მთლიანად სავსეა ოფიციალური ცნობებითა და ნათესავთა განცხადებით ფრონტზე დაღუპულ ადგილობრივ მცხოვრებ ოფიცერთა და ჯარისკაცთა შესახებ.

უდიდესი ზარალი, რომელიც ფრონტზე მოსდის ფინეთის არმიას, სასოწარკვეთილებას იწვევს ფინეთის მოსახლეობაში. ჯარისკაცს არვო სუონპერის დედა ფრონტზე სწერს თავის შვილს: „სანამდე შეუძლია მიგვიყვანოს ამ ომმა! ჩვენ ყოველდღიურად მოგვდის ცნობები დახოცილთა შესახებ. ჩვენი ბატონები უდანაშაულო ხალხს ამებენ. მალე ვერც ერთი მამაკაცი ველარ გადარჩება ცოცხალი. ჩვენი სოფლის მცხოვრებთაგან უკვე 22 კაცი დაიღუპა".

დაბა კუივოსკიდან უმცროს სერჟანტ ნიილო ნევალას სწერენ: „მთელი დრო იმაში გადის, რომ ზოგი ფრონტზე მიჰყავთ, ზოგს ხეიბრებად აბრუნებენ. ხეიბრები თავს კიდევ ბედნიერად გრძნობენ. არ ვიცი, დიდხანს გასძლებთ მანდ ასე თუ არა".

ცენზურა მძვინვარებს, მაგრამ ასეთი წერილები ათიათასობით არის. როგორც სჩანს, ცენზორები ვერ სწვდებიან უამრავ წერილებს. „რა მოგვივა,—ეკითხება პორუჩიკ ფაბუს ვილოს მისი ცოლი ელი დაიტილადან.—ცხოვრება სულ უფროდაუფრო შავბნელი ხდება. მალე ერთ გრამ პურის ფქვილსაც ველარ ვიყიდით. რაც ნათესები გვქონდა გვალვამ გაანადგურა".

შიმშილი ათასობით ოჯახის ხვედრია. კაპრალ ხელიმიაკის ძმა იწერება: „თუ ასე გაგრძელდა ყველანი შიმშილით დავიხოცებით".

ჯარისკაც ლინგვორს შინიდან სწერენ: „სიცოცხლე უშინაარსო და უიმედო სჩანს. არ ვიცი როგორღა მივაწევთ შემდეგ ზაფხულამდე. ძროხებს საკვები არ ექნებათ, ოთხი თვისათვის ერთ პაკეტ ყავას გვაძლევენ".

„სოფელ ხეიკილიაში,—სწერენ შინიდან ჯარისკაც ვარმანენ იუგოს,—ოჯახებს ყველა ძროხა წაართვეს. ამბობენ, რომ ჩვენც წაგვართმევენ. ნუთუ უკანასკნელ ქონებასაც ჩამოგვართმევენ?"

თეთრფინელთა ზურგიდან გამოგზავნილი ათობით წერილი გამოხატავს გაბოროტებას გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ, ამ „კალიის" წინააღმდეგ, რომელიც ფინეთის მინდორ-ყანებსა და ქალაქებს შემოესია და ყოველივეს ანადგურებს.

„ისინი მთელს ჩვენს მარაგს ნთქავენ, ფინელი ჯარისკაცები, ბავშვები, ქალები შიმშილობენ,— ამბობს ტყვე, უმცროსი სერჟანტი ლაატუნენ არვი.—ჩვენს მუშებსა და ჯარისკაცებს სძულთ გერმანელი მუქთამჭამლები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოვიდნენ და რომლებმაც სილატაკე და სიკვდილი მოგვიტანეს".

ი. ლაპონოგოვი,
პ. ბარანიკოვი

მოქმედი არმია, 1941 წლის 30 სექტემბერი (საკდესი).

მოქმედი არმია. საბჭოთა კავშირის გმირი, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ს. ა. სემენჩენკო.
ფოტო „იზვესტიას" სპეციალური სამხედრო კორესპონდენტის ნ. პეტროვისა

დოკუმენტი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სისხლისმსუყრველობისა და ამასთან სისუსტის შესახებ

ქვემოთ ვაქვეყნებთ გერმანელთა სარდლობის ა. წ. 25 სექტემბრის ბრძანებას 489-ე ქვეითი პოლკისადმი, საიდანაც სჩანს, რომ პოლკს რამდენჯერმე უთქვამს უარი ესროლნა საბჭოთა ჯარებისათვის, რის გამო გერმანელთა სარდლობა დასჯით ემუქრება თავის ჯარისკაცებს. ეს ბრძანება 29 სექტემბერს აღმოჩნდა გერმანელ უნტერ-ოფიცერს, რომელიც მოკლული იყო კისკინოს რაიონში, ლენინგრადის მახლობლად.

აი ამ ბრძანების ტექსტი:

„ბრძანება 489-ე ქვეითი პოლკისადმი, 25. IX. 41 წ.

კვლავ გამოირკვა, რომ შეტევისა და თავდაცვაში ყოფნის დროს მსროლელნი და მეტყვიამფრქვევენი არ ესროდნენ მტერს ან იმ მიზეზით, რომ ახლო მყოფი მტრის არტილერიის ცეცხლისა ეშინოდათ, ანდა ეშინოდათ, რომ საკუთარი ცეცხლით თავის თავს გაამჟღავნებდნენ. მე იძულებული ვარ აღვნიშნო, რომ ასეთი საქციელი აბსოლუტურად შეუწყნარებელია, ყალბია და არ შეესაბამება გერმანელი ჯარისკაცის სულისკვეთებას. ეს ამჟღავნებს არასაკმაო მამაცობას, თუ არ ვიტყვით, რომ ეს ლაჩრობა და სულმოკლეობაა. ჯარისკაცი, რომელიც ასე იქცევა, მეომარი აღარ არის, მას უჩნდება საკუთარი არასრულფასოვნობის გრძნობა, და აშკარად უჩვენებს მტერს, რომ თავს დამარცხებულად გრძნობს.

ჩვენ ყველა მონაცემი მოგვეპოვება, რათა რუსებს დავანახვოთ საწინააღმდეგო, ე. ი. ჩვენი უეჭველი მორალური უპირატესობა. ახლა, როდესაც თითქმის მიზანს მივაღწიეთ—ლენინგრადის კართან ვართ, ჩვენ არ უნდა ვიგრძნოთ თავი დაღლილებად და ამ დროს ჩვენმა მცირე ჯგუფმა უნდა იმოქმედოს გაორკეცებული ენერგიითა და თავგანწირვით, ამას ჩვენ გვავალებენ ჩვენი დაღუპული და დაჭრილი ამხანაგები. მე მოველი პოლკის მთელი პირადი შემადგენლობისაგან, და, უწინარეს ყოვლისა, ახალი შევსებისაგან, რომ მთელი მათი ნებისყოფა და მთელი მათი უნარი გამოყენებული იქნება იმისათვის, რომ დროზე იქნას შესრულებული ჩვენს წინაშე დასახული ამოცანა—გავაძლიეროთ ლენინგრადის გარემოცვა.

გიბრძანებთ ცეცხლი დაუშინოთ თვითეულ რუსს, როგორც კი იგი გამოჩნდება 600 მეტრ მანძილზე. რუსმა უნდა იცოდეს, რომ მას მოწინააღმდეგედ ჰყავს მტკიცე მტერი, რომლისაგანაც იგი არავითარ შემწყალებლობას არ უნდა ელოდეს. მტერი ჩვენგან მოკრძალებულ მანძილზე მხოლოდ მაშინ იქნება და ვერ გადასწყვეტს კონტრშეტევაზე გადმოსვლას, თუ ჩვენ ასე მოვიქცევით.

არტილერია, პირველი მსროლელნი და ყუმბარმტყორცნელნი ჩვენთვის მხოლოდ თანაშემწენი არიან თავდაცვითსა და შეტევითს ბრძოლაში; ბრძოლაში ყველაზე ქმედითი და გადამწყვეტია ქვეითი, მაგრამ ამის მიღწევა მას მაშინ შეუძლია, როდესაც ყოველი მეტყვიამფრქვევე და მსროლელი უკანასკნელ შესაძლებლობამდე უშენს. მომახსენებენ თუ არა, რომ რომელიმე მეტყვიამფრქვევეთაგანი ან მსროლელი შიშით თუ გულგრილობით არ ესვრის მტერს, ასეთ შემთხვევაში მე მათ სამხედრო სამართალში მივცემ. ჩვენ დაუნდობელი და გადამწყვეტი ბრძოლის პირობებში ვიმყოფებით, სადაც „ყოფნა არყოფნის" საკითხი წყდება. ეს თვითეულმა თქვენთაგანმა უნდა იცოდეს და ამან უნდა განსაზღვროს თვითეული თქვენთაგანის დამოკიდებულება მტრისადმი.

ჩვენი ლოზუნგია: მტრის მოსპობა ყოველგვარი საშუალებით. ეს ყველა ჩვენგანისათვის იმას ნიშნავს, რომ უნდა ვესროლოთ და კიდევ და კიდევ ვესროლოთ. სხვაგვარად შეუძლებელია. ხელს აწერს ბადინსკი".

კაპიტანი ა. ვ. ჩაპაევი—სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის შვილი; მამაცურად ებრძვის ფაშისტებს ფრონტის ერთერთ უბანზე. კაპიტან ჩაპაევის ქვემეხები ზუსტად ანადგურებენ მტრის საცეცხლო წერტებსა და ცოცხალ ძალას.
ფოტო პ. იგნატენკოსი (საკდესი)

მეგობრობა ბრძოლაში

მოსკოვი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). „პრავდის" სპეციალური სამხედრო კორესპონდენტი მოქმედი არმიიდან იტყობინება შემდეგ ეპიზოდს, რომელიც ამჟღავნებს ჩვენი საზღვაო მფრინავებისა და მეზღვაურების საბრძოლო მეგობრობას.

საბრძოლო გაფრენის დროს მფრინავი ნავი, რომელსაც მფრინავი არფანოვი მართავდა, იძულებული გახდა ზღვაზე დაშვებულიყო. ეკიპაჟის წევრებმა რამდენიმე ათეული საათი აქაფებულ ტალღებზე გაატარეს. მათ საშველად გაგზავნილ იქნენ მფრინავები კრავცოვი და კნუტი.

ღამით მათ მონახეს ამხანაგები. ნავი წყლით ივსებოდა, ტალღები მას აქეთიქით ანარცხებდნენ. ადამიანები ძრავის ქვედა საყრდენებზე იყვნენ ჩაჭიდებულნი. რადისტმა კონოპლინმა დაუყოვნებლივ გადასცა რადიოგრამა ერთერთ სამხედრო გემს და ზუსტად უჩვენა ნავის ადგილმდებარეობა. მალე თვითმფრინავი თავისი ეკიპაჟით გემმა აიყვანა.

გერმანიის ფაშიზმი საბჭოთა გლეხობის უბოროტესი მტერია

ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში საქმე ეხება „საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს. საქმე ეხება იმას—თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში უნდა ჩავარდნენ" (სტალინი).

საბჭოთა გლეხობას უდიდესი საფრთხე ემუქრება. ჰიტლერი, რომელმაც სსრ კავშირის წინააღმდეგ თავისი ბანდიტური ურდოები დასძრა, ისწრაფვის ჩვენს გლეხებს კვლავ დაასვას კისერზე მემამულეები და კაპიტალისტები.

საშინელი მხეცობანი, რასაც ფაშისტთა ურდოები მათ მიერ დროებით დაპყრობილ საბჭოთა რაიონებში სჩადიან, შედის ჰიტლერის მიერ გერმანელ თავად-მემამულეთა და კაპიტალის მაგნატთა ანგარებითი ინტერესებისათვის გამომუშავებულ, წინასწარ მოფიქრებულ ჯოჯოხეთურ გეგმაში. ობერ-ბანდიტი ჰიტლერი ჯერ კიდევ სსრ კავშირთან ომამდე თავის საზიზღარ წიგნში „ჩემი ბრძოლა" ქადაგებდა, რომ ფაშისტებმა უნდა „დაიპყრონ ახალი მიწები და იქ გერმანელები დაასახლონ". განსაკუთრებით რა მიწები შეარჩია მან გერმანელთა დასასახლებლად? „როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ახალი მიწების დაპყრობაზე ევროპაში, — სწერდა ჰიტლერი, — ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია მხედველობაში ვიქონიოთ პირველ რიგში მხოლოდ რუსეთი და ის განაპირა სახელმწიფოები, რომლებიც მას ემორჩილებიან".

რუსეთს იგი სხვას არას უწოდებს, თუ არ „აღმოსავლეთის სივრცეს", თითქოს ეს იყო ცალიერი სივრცე, რომელიც მხოლოდ ფაშისტ ავაზაკთა მოსვლას ელოდა. მაგრამ ეს მიწები ფაქტიურად ხომ დასახლებულია? სწორედ ამიტომ ჰიტლერის რჩევაა მოსპობილ იქნან სლავები, იგი წინადადებას იძლევა „ყველა საშუალებით შეჩერებულ იქნას სლავთა ნაყოფიერება", მოითხოვს „სლავთა მასების მოსპობას".

გულახდილ საუბარში თავის ერთერთ ხელქვეითთან — რაუშნინგთან, რომელიც „ფიურერთან" წაჩხუბების შემდეგ გერმანიიდან გაიქცა, ჰიტლერი ამბობდა: „უნდა შევიმუშაოთ უცხო მოსახლეობის შემცირების ტექნიკა... ვის შეუძლია სადავოდ გახადოს ჩემი უფლება მოვსპო დაბალი რასის მილიონობით ადამიანები, რომლებიც მწერებივით მრავლდებიან?".

სლავები კი ფაშისტებისათვის დაბალი რასაა, რომელიც უნდა მოისპოს და დამონებულ იქნას.

გერმანელი მემამულეებისა და მსხვილი კაპიტალისტების ლაქიის ჰიტლერის ავადმყოფურ წარმოდგენაში მომწიფდა ველური განზრახვა:

„ლაპარაკია იმაზე, რომ სლავი გლეხები ჩამოვაშოროთ მიწას და გადავაქციოთ უმიწო პროლეტარებად. საჭიროა, რომ დამუშავებული მიწები გერმანელ ბატონთა კლასის ხელში გადავიდეს. მთელ აღმოსავლეთ სივრცეში მხოლოდ გერმანელებს აქვთ უფლება იყვნენ მსხვილი მამულების მესაკუთრეები. უცხო რასით დასახლებული ქვეყანა მონების ქვეყანა უნდა გახდეს".

ამ სულელური ბოდვით დაჟინებით უქადავენ თავს ფაშისტურ მოსახლეობას. აი 17 წლის ფაშისტი მფრინავი, რომელიც ტყვედ წამოვიყვანეთ უკრაინის ველებზე ჩამოგდებული თვითმფრინავიდან. შეკითხვაზე — რატომ მოდიოდი უკრაინის წინააღმდეგო, ფაშისტმა ლაწირაკმა წარმოსთქვა:

— ჩვენ ტერიტორია გვესაჭიროება.

— მაგრამ აქ ხომ ადამიანები ცხოვრობენ—ამ მიწის მფლობელები, იმათ რაღა ჰქნან?

ბანდიტი დაუფიქრებლად უპასუხებს:

— მათ ნაწილს ჩვენ ციმბირში გადავასახლებთ.

მართლაც და, რა უბრალოდ ყოფილა საქმე!

ჰიტლერელმა არამზადებმა უკვე დაამუშავეს გეგმა რუსეთის მიწა-წყალზე მემამულეთა ძალაუფლების აღდგენისა. მიწათმოქმედების ფაშისტი მინისტრი დარე უკვე ემზადება იმისათვის, რომ ჩვენი მიწები სამუდამო სარგებლობისათვის დაურიგოს „წმინდასისხლიან" გერმანელებს.

„ჩვენს მიერ დაპყრობილი ქვეყნების მიწები განაწილებული იქნება ჯარისკაცებს შორის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, და ნაციონალ-სოციალისტური პარტიის სანიმუშო წევრების შორის. ამრიგად შეიქმნება ახალი აგრარული არისტოკრატია. გერმანელები მიჩვეული არიან მბრძანებლობას".

ფაშისტების მიერ დროებით დაკავებული საბჭოთა მიწები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში უხვად არის მორწყული რუსი, უკრაინელი, ბელორუსი ხალხების ოფლითა და სისხლით, გამოცხადებულია გერმანიის სახელმწიფოს საკუთრებად, ისინი განაწილებულ უნდა იქნან „ჯიშიან" გერმანელებს შორის: 45-დან 125 ჰექტარამდე თვითეული „სს"-ის წილად.

გერმანელი ფაშისტები დარეს პირით აცხადებენ ახალი თავადაზნაურობის შექმნის შესახებ. მაგრამ ნამდვილი თავადაზნაურობა ხომ არ შეიძლება იყოს იქ, სადაც არ არიან ყმები. XX საუკუნეში სადღა უნდა იშოვონ ყმები? ასეთი „უბრალო რამ" საქმეს ვერ შეაფერხებს: ფაშისტების მიერ დამორჩილებული ქვეყნების გლეხები უნდა გახდნენ ახალი ბატონი-ფეოდალების—ფაშისტი არამზადების ყმებად.

ფაშისტური კალია მოეცავს ჩვენს მინდვრებზე, რომ ხელთ იგდოს, შეხეთქოს ყველაფერი, რაც სსრ კავშირის გლეხობის მრავალი წლის შრომით არის შექმნილი. ფაშისტთა ურდოებთან ომის პირველსავე დღეებში ჩვენ ტყვედ ჩაგვივარდნენ ოფიცრები, რომლებიც წინდახედულად მომარაგებული იყვნენ წინასწარ დამზადებული ხელწერილების დასტებით. აი ერთი მათგანი (თლიად ვიცავთ დოკუმენტის ორთოგრაფიას):

„ამ ხელწერილს ძალა არა აქვს, თუ ზედ სრულად არ იქნება აღნიშნული საველე ფოსტის ნომერი. მე (დაიწერება სახელი) მივიღე გლეხ (სახელი)-საგან პური (ციფრი) — კილოგრამი, ძროხა—(ციფრი), ცალი, ქონი (ციფრი)—კილოგრამი. ანაზღაურებული იქნება ომის შემდეგ. ურჩობა უსასტიკესად იქნება დასჯილი. არმიის უმაღლესი სარდლობა". ბეჭედი — სვასტიკიანი არწივი.

თუმცა, როგორც წესი, ბანდიტები არ მიმართავენ ხელწერილებსაც, რომლებშიც დაპირება, რომ „ომის შემდეგ" აანაზღაურებენ. მიაქვთ ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდებათ, იტაცებენ და მიაქვთ. ესეც „დაკანონებულია" ფაშისტურ არმიაში, სადაც გამოცემულია ძარცვის სპეციალური წესები:

„მოწინააღმდეგის ქონების ჩამორთმევის ინსტრუქცია. სს-ის საიმპერიო ფიურერის ბრძანების თანახმად მოწინააღმდეგისათვის ნივთების ჩამორთმევა უნდა სწარმოებდეს შემდეგი წესით:

ღირებულების გადაუხდელად და ხელწერილების მიუცემლად ჯარისკაცებს შეუძლიათ გამოართვან მოსახლეობას საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი, საცვლები, მედიკამენტები და საწვავი თვითეული ჯარისკაცის პირადი მოთხოვნილების ფარგლებში.

რეკვიზიციის მოხდენა შეუძლიათ მხოლოდ ასეულის უფროსებს. რეკვიზიციების დროს უნდა გაიცეს ხელწერილები, რომლებშიც აღნუსხული იქნება ჩამორთმეული დოვლათი".

შეჰქმნეს რა ვეებერთელა სამხედრო მანქანა, ჰიტლერელმა ბანდიტებმა გადასჭამეს მთელი ევროპა და ახლა დაიძრნენ საბჭოთა კოლმეურნე გლეხობის მიერ შექმნილი სიმდიდრის მოსასპობად. ფაშისტური სამხედრო სარდლობის ენაზე ამას ეწოდება „ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ხარჯზე ცხოვრება".

აი რა სწერია ფაშისტურ ინსტრუქციაში, რომელიც ხელში ჩაუვარდა წითელ არმიას:

„უმაღლესი სარდლობის ჯარის ინტენდანტი გენერალური შტაბისა

მთავარი ბანაკი.

ნომერი 109(4)41. საიდუმლო 16.641 წ.

ჯარების მომარაგების შესახებ დაიგზავნოს ასეულებამდე.

გერმანიის საერთო დაძაბული სასურსათო მდგომარეობა შესაძლებლობას აღარ იძლევა შეივსოს ალალების შემადგენლობა და მომარაგება მის (ქვეყნის) ხარჯზე. ეს უნდა ახსოვდეს თვითეულ მეთაურსა და უფროსს მოწინააღმდეგის ქვეყანაში ოპერაციების დროს.

გერმანიაში მარაგის შესანარჩუნებლად ჯარები უნდა ცხოვრობდნენ ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ხარჯზე".

დოკუმენტი ნათელია და გარკვეული. ეს არის ზემოდან ნაკურთხი ძარცვა, ძარცვა ფაშისტური არმიის უმაღლესი სარდლობის ბრძანებით. ეს ბრძანება სრულდება გაafთრებით, უკიდურესი სისასტიკით, სადიზმით.

დაიკავეს რა ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი ოლქები და რაიონები, ფაშისტთა ურდოებმა ისე გაძარცვეს ჩვენი ქალაქები და სოფლები, რომ ამის წინაშე არაფრად მოსჩანს ატილას და ჩინგის-ხანის ურდოების ყაჩაღობა. ფაშისტები ისე ძარცვავენ საბჭოთა გლეხებს, რომ შიშველტიტველს სტოვებენ. ერთხელ ჯალათებმა დახვრიტეს კოლმეურნე ქალი, რომელმაც გაბედა საკუთარ ბოსტანში კარტოფილის ამოღება ბავშვისათვის. ნაძარცვი ქონება გერმანიაში იგზავნება. ყოველგვარი საოჯახო ნივთებით გაჭედილია მოწინააღმდეგის სამხედრო ალალები და ტანკებიც კი. ფაშისტთა ურდო კალიასავით მიესევა ხოლმე დაკავებულ სოფლებს, ძარცვავს, აუპატიურებს ქალებს და გოგოებსაც კი, ხვრეტს და ახრჩობს გლეხებს, შემდეგ, როგორც წესი, ცეცხლს უკიდებს სოფლებს. ეს საკუთარი თვალით ნახეს ათასობით ჩვენმა ადამიანებმა, რომლებიც ელნიას რაიონში დაბრუნდნენ.

იქ, სადაც მოსახლეობა სოფლებში რჩება, ფაშისტები ბატონყმურ წესებს ამყარებენ. გერმანელები თავიანთ თავს მთელი მიწის, მთელი მოსავლის პატრონებად აცხადებენ. ისინი ცდილობენ კოლმეურნეობები გადააქციონ თავიანთ მამულებად, ხოლო კოლმეურნეები მონებად. უკრაინაში ფაშისტურმა სარდლობამ გლეხები გამოუცხადებლად და გაუსამართლებლად დახვრეტის მუქარით ვალდებული გახადა აეღოთ მთელი მოსავალი იქ, სადაც იგი გადარჩა. მონური შრომისათვის დაჰპირდნენ მათხოვრულ საფასურს: ცხენის სამკალით აღების დროს—6 ძნა გერმანელებს, მეშვიდე—გლეხებს; ტრაქტორით აღების დროს — 8 ძნა ფაშისტებს და მხოლოდ მეცხრე—მოსახლეობას.

ფაშისტი ავაზაკები — მომავალი ახალი თავადაზნაურები — ჯერჯერობით ფრონტის საქმეებით არიან გართული. ამიტომ ყოველ დაპყრობილ კოლმეურნეობაში ინიშნება განსაკუთრებული უფროსი.

ერთერთ ტყვე გერმანელს აღმოუჩინეს დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს გერმანიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი. ამ დოკუმენტის სათაურია: „სასამსახურო დარიგება ყოფილი კოლმეურნეობის უფროსს, გერმანიის ხელისუფალთაგან დანიშნულს".

აი რა არის ნათქვამი ამ „დადგენილებაში":

„უფროსი სრული პასუხისმგებელია მოსავლის აღების სასოფლო სამუშაოში ორივე სქესის ყველა შრომისუნარიანი გლეხის ჩაბმისათვის.

უფროსი ანაწილებს მუშახელს.

უფროსი პასუხს აგებს არსებული პირუტყვისათვის.

უფროსი იწყებს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის სიის შედგენას და სრული პასუხისმგებელია ამ ინვენტარისათვის.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ბარდება გერმანიის სამხედრო ხელისუფალთ.

უფროსს უსასტიკესად ევალება დაიცვას მისთვის ჩაბარებული მეურნეობა საბოტაჟის აქტებისაგან. იგი უნდა ებრძოლოს მათ ყველა საშუალებით, ვინაიდან გერმანიის სამხედრო ხელისუფალთა მხრივ სასჯელი ულმობელი იქნება. ბეღლების, თივისა ან ჩალის ზვინებისათვის და სხვ. ცეცხლის წაკიდების შემთხვევაში სოფელი მთლიანად იქნება გადაბუგული, ხოლო მისი მცხოვრებლების ნახევარი დაიხვრიტება".

ვერაფერი ვერ უშველის ფაშისტებს: ვერც „ყოფილ" კოლმეურნეობათა უფროსები, ვერც სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებიდან შეგროვილი მამასახლისები, ვერც დამსჯელი რაზმები, ვერც საშინელი მხეცობანი.

რუსმა, უკრაინელმა, ბელორუსმა გლეხმა, სსრ კავშირის ყველა ხალხმა იცის, რაც მოაქვს ფაშიზმს. საბჭოთა ხალხი არასოდეს არ გახდება მონა, მხეცობისათვის იგი სასტიკ ანგარიშს წარუდგენს ბანდიტებს. ფართოვდება და მტკიცდება პარტიზანული მოძრაობა მტრის ზურგში. საბჭოთა ხალხი მზად არის გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი ჰიტლერელ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის, ფაშისტი ყაჩაღ(ებ)ისა და მძარცველების განადგურებისათვის.

ა. აზიზიანი

„პრავდა", 23 სექტემბერი, № 264.

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება

29 სექტემბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ს. შჩერბაკოვმა.

— ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ წარმოებულმა სახალხო ომმა, — ამბობს ამხ. შჩერბაკოვი, — პარტიულ ორგანიზაციათა წინაშე დასახა ამოცანა — გავაძლიეროთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, ავამაღლოთ პარტიულ ორგანიზაციათა და პარტიის ყველა წევრთა აქტივობა. ამავე დროს ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ცალმხრივად მიუდგა ამოცანის — „ყველაფერი ფრონტისათვის“ — შესრულებას. მუშაობენ რა სამეურნეო საკითხებზე, მათ, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების ნაცვლად, შეასუსტეს იგი, შესწყვიტეს პარტიული კრებების მოწვევა, მიივიწყეს მასებში პოლიტიკური აგიტაცია, შეასუსტეს მუშაობა პარტიაში მიღების გარშემო, დაივიწყეს საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმე.

ამ პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა დაივიწყეს, რომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა პარტიის უმნიშვნელოვანესი საქმეა და რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ომის პირობებში, დაივიწყეს ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ საჭიროა ბოლშევიკურად შევუხამოთ ერთმანეთს მთელი ორგანიზაციული და სამეურნეო მუშაობა და ყოველდღიური პოლიტიკური მუშაობა მასებში.

ამხ. შჩერბაკოვი დაწვრილებით შეჩერდა მოსკოვის ორგანიზაციის პრაქტიკულ ამოცანებზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაშლის დარგში და აღნიშნა, რომ ამ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ საჭიროა მთელი მუშაობა გარდაიქმნას სამხედრო ყაიდაზე, ყველაფერი დაექვემდებაროს ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა მშრომელებს უნდა განუმარტონ, რაოდენ დიდია საშიშროება, რომელიც თავს დასტრიალებს ჩვენს სამშობლოს, უნდა ჩაუნერგონ მასებს შეურყეველი რწმენა მტერზე გამარჯვებისა. ამისათვის სააგიტაციო მუშაობა, განსაკუთრებით სიტყვიერი აგიტაცია ისე უნდა გავაჩაღოთ, რომ ამ აგიტაციით მოვიცვათ ყოველი მშრომელი. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული კომუნისტი, სადაც უნდა იყოს იგი, მუდამ იყოს აგიტატორი, მუდამ გაბედულად განუმარტავდეს მშრომელებს იმ საკითხებს, რომლებიც მათ აღელვებთ.

— ომის პირობებში, — განაგრძობს ამხ. შჩერბაკოვი, — პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებით ფართოდ უნდა გააჩაღონ შინაპარტიული მუშაობა, უნდა უზრუნველჰყონ კრებების, აქტივების, პარტიული კომიტეტების პლენუმების რეგულარულად ჩატარება. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან გააძლიერონ ხელმძღვანელობა პროფკავშირებისადმი, კომკავშირისადმი და სხვა მასობრივი ორგანიზაციებისადმი.

თავისი მოხსენების დასასრულს ამხ. შჩერბაკოვი ამბობს, რომ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი ამჟამად მძიმე, სასტიკ ბრძოლას ეწევა ყველაზე უბოროტესი, ყველაზე ვერაგი მტრის — ჰიტლერიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შედეგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჩვენი ხალხის ორგანიზებულობაზე, გამძლეობასა და დისციპლინიანობაზე. მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია მუდამ იყო ჩვენი პარტიის მოწინავე რაზმი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის საიმედო ბურჯი, უდავო და უეჭველია, რომ ახლაც, მძიმე ბრძოლის დღეებში, საბჭოთა ხელისუფლების არსებობისათვის, ჩვენი სამშობლოსა და ჩვენი ხალხის მომავლისათვის ბრძოლის დღეებში მოსკოველი ბოლშევიკები ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იქნებიან. ჩვენი ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ჩვენი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ გავიმარჯვებთ.

ამხ. შჩერბაკოვის მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. როზანოვი, მოსკოვ-ვოლგის არხის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ლევჩენკოვი, საქ. კ. პ. (ბ) ეგორიევსკის რაიკომის მდივანი ამხ. ბელოვი, ამხ. ემ. იაროსლავსკი, საქ. კ. პ. (ბ) სოკოლნიკის რაიკომის მდივანი ამხ. ლეონტიევა, საქ. კ. პ. (ბ) სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. ისაჩენკო, ფაბრიკა „კრასნაია შვეია“ პარტბიუროს მდივანი ამხ. ბოდროვა, საქ. კ. პ. (ბ) კუიბიშევის რაიკომის მდივანი ამხ. შახოვა, საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. პოზდეევი.

ამხ. ა. ს. შჩერბაკოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა აღმოფხვრან პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

აქტივის კრებამ თავის გადაწყვეტილებით მოსთხოვა ყველა პარტიულ ორგანიზაციას გააძლიერონ ბრძოლა XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, გააძლიერონ საწარმოთა მუშაობის ტემპები, უზრუნველჰყონ მრეწველობის, ტრანსპორტის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სანიმუშო მომზადება ზამთრის პირობებში მუშაობისათვის. აქტივმა აღნიშნა, რომ საჭიროა რეგულარულად მოეწყოს პარტიული კრებები, გადიდებული იქნას კომუნისტების მოწინავე როლი წარმოებაში, განვითარდეს სტახანოვური მოძრაობა, ყოველმხრივ განმტკიცდეს შრომის დისციპლინა.

პარტიულმა აქტივმა პარტიის თვითეულ წევრს მოსთხოვა განუხრელად შეასრულოს თავისი საწესდებო მოვალეობანი, „ყოველდღიურად განამტკიცებდეს კავშირს მასებთან, თავის დროზე ეხმაურებოდეს მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, განუმარტავდეს უპარტიო მასებს პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა აზრს“. აქტივის კრებამ ქალაქისა და ოლქის ხელმძღვანელ მუშაკებს დაავალა გააკეთონ მოხსენებანი მუშათა და კოლმეურნეთა კრებებზე. საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებისა და ქალაქკომების პირველი მდივნები მოვალენი არიან პირადად გაუწიონ ინსტრუქტაჟი აგიტატორებს მიმდინარე მომენტის საკითხებზე, ინფორმაცია მიაწოდონ მათ ქალაქისა და რაიონის პრაქტიკული ამოცანების შესახებ.

პარტიულმა აქტივმა თავის გადაწყვეტილებაში განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რა ამოცანა აქვთ პარტიულ ორგანიზაციებს იმ მხრივ, რომ ყოველნაირი დახმარება გაუწიონ თავდაცვის სახალხო კომისარიატის ორგანოებს საყოველთაო სამხედრო სწავლების მოწყობასა და განხორციელებაში. აქტივის კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან, პარტიის თვითეული წევრისა და კანდიდატისაგან მოითხოვს თავდადებით იშრომონ ფრონტის საჭიროებებისათვის, ისწავლონ სამხედრო საქმე, დაუნდობლად ამხილონ ლაჩრები და პანიკიორები, ყოველთვის და ყველგან იყვნენ მასების სათავეში, უხელმძღვანელონ მათ, უჩვენონ ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითი. (საკდესი).

საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი

29 სექტემბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი „კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და ქალ. მოსკოვში მათი გაგზავნის მიმდინარეობა და მზადება მათი შენახვისათვის“.

პლენუმმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ რაიონში კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადება და ქალ. მოსკოვში გაგზავნა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, და გააკრიტიკა მალინოს, ოსტაშევოს, უვაროვკის, ნოვო-პეტროვსკოესა და ზოგიერთი სხვა რაიონის დამამზადებელ ორგანიზაციათა, რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობა.

საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა პარტიულ, საბჭოთა და სავაჭრო-დამამზადებელ ორგანიზაციათა უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს — რაც შეიძლება სწრაფად დაამთავრონ კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლის აღება და დროულად და სრულად გაჰგზავნონ მოსკოვში ყინვების დაწყებამდე. პლენუმმა დაადგინა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სტაფილოს და ჭარხლის მოსავლის აღების დამთავრების ვადა — 5 ოქტომბერი, კარტოფილისა — 10 ოქტომბერი. საგვიანო კომბოსტოს მასობრივი აღება ყველგან დაწყებულ უნდა იქნას არა უგვიანეს ა. წ. 10 ოქტომბრისა.

პლენუმმა ქალ. მოსკოვისა და ოლქის პარტიულ, საბჭოთა და სავაჭრო-დამამზადებელ ორგანიზაციათა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ გულმოდგინედ იქნას მომზადებული საცავები, თხრილები და ბურტები კარტოფილისა და ბოსტნეულის საზამთროდ შესანახავად. (საკდესი).

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

ნიკოლოზ პეტრეს-ძე **რომანოვი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1925 წლიდან, პარტბილეთი № 1891738—რაიონიდან თვითნებურად წამოსვლისა და 15 თვის განმავლობაში პარტსაწევრო გადასახადის გადაუხდელობისათვის; სევერიან არსენის-ძე **ხულაბერიძე**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2159151—რელიგიური წესის შესრულებისათვის; ლადო გიორგის-ძე **ბუზალაძე**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1918 წლიდან, პარტბილეთი № 1537175—საქონლის ფასების სისტემატური დარღვევისათვის; მესროპ ამაიაკის-ძე **არუთინოვი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1929 წლიდან, პარტბილეთი № 3299818—კოოპერატიული თანხების გაფლანგვისათვის; გრიგოლ ათანასეს-ძე **ზაიცევი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2162039—საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა, სამუშაოს გაცდენისა და საკანდიდატო ბარათის გადაცემისათვის.

საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების პირველი დღე

რა გვიჩვენა მეცადინეობის პირველმა დღემ

საუბარი თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისარ ამხ. ს. გეგიასთან

გუშინ, 1 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის მოქალაქენი შეუდგნენ საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო სწავლებას. დიდი გულმოდგინებით და ორგანიზებულობით ჩატარდა პირველი მეცადინეობა თბილისის ორჯონიკიძის რაიონშიც. მეცადინეობის პირველმა დღემ გვიჩვენა, რომ მოქალაქენი შეგნებულად შეხვდნენ ამ დიდი მნიშვნელობის სამხედრო-პოლიტიკურ საქმეს. მათ მტკიცედ იციან, რომ საყოველთაო სამხედრო სწავლება, სამხედრო ხელოვნების კარგად დაუფლება აახლოვებს ვერაგი და მუხანათი მტრის—გერმანიის ფაშისტური ურდოების განადგურებას.

მეცადინეობაზე განსაკუთრებული ორგანიზებულობით გამოცხადდნენ საქენერგოს, თბილისის ჰიდრო-საკვლევო ინსტიტუტის, საქპურტრესტის სამონტაჟო კანტორის და სხვა ორგანიზაციების თანამშრომლები.

მეცადინეობის პირველი დღე მიეძღვნა მებრძოლთათვის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების და გაზეთ „პრავდის“ მოწინავე წერილის გაცნობას. ამის შემდეგ დაიწყო სამწყობრო მეცადინეობა.

დისციპლინითა და მეცადინეობის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდნენ 1923 წელს დაბადებულნი. განსაკუთრებული ხალისით და მონდომებით მეცადინეობდნენ ამხ. ხარებავას და შოვნაძის ოცეულები.

ყველაზე კარგად ჩაატარა მეცადინეობა მეოთხე ოცეულმა, რომელსაც უმცროსი ლეიტენანტი ამხ. ვლ. გაბრიჭიძე მეთაურობს. მის ოცეულში სამწყობრო სწავლების საუკეთესო მაგალითი გვიჩვენა ათეულმა ამხ. მგელაძის მეთაურობით.

ჩინებულად ჩაატარა მეცადინეობა აგრეთვე მესამე ოცეულის იმ ათეულმა, რომელსაც თადარიგის მეთაური ამხ. ალ. ავაქიმოვი მეთაურობს.

ეჭვი არ არის, ჩვენი რაიონის მშრომელები წარმატებით შეისწავლიან სამხედრო საქმეს, დაეუფლებიან მეომრის ოსტატობას. ჩვენ გმირულ წითელ არმიას მოვუმზადებთ ისეთ შევსებას, რომელიც მკერდით დაიცავს საბჭოთა მიწა-წყალს.

ორგანიზებულად დაიწყო

თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონში მოქალაქეთა საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლება ორგანიზებულად დაიწყო. რაიონის მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც შეტანილ იქნენ სავალდებულო სამხედრო სწავლების სიებში, სიხარულით გამოცხადდნენ სამეცადინო პუნქტებზე. მათთან მეცადინეობა ჩაატარეს გამოცდილმა მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა.

რაიონის ოთხსავე სამეცადინო პუნქტში მეცადინეობა დანიშნულ დროს დაიწყო. ყველა წვევამდელი დაუგვიანებლივ და უკლებლივ გამოცხადდა. სწავლაგაუვლელი თადარიგის სამხედროვალდებულთა გამოცხადებამ 98 პროცენტს მიაღწია. უკლებლივ მოვიდნენ № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშები და „საქენერგოს“ თანამშრომლები.

მეცადინეობისათვის განკუთვნილი მთელი ორი საათი მაღალი ნაყოფიერებით გამოიყენეს. მეთაურებმა მებრძოლებს აუხსნეს სამხედრო წყობილების ცნება, მებრძოლის მდგომარეობა წყობილებაში და სამხედრო დისციპლინის ძირითადი ელემენტები. ყველა საკითხი მებრძოლებში დიდ ინტერესს იწვევს.

პირველი სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველმა მუშამ მიხეილ ხევსურიანმა განაცხადა: მე მსურს კარგად დავეუფლო სამხედრო საქმეს და მალე მივიღო მონაწილეობა დიდ განმათავისუფლებელ ომში, რომელსაც პირსისხლიანი ჰიტლერელების წინააღმდეგ აწარმოებს ჩვენი ქვეყანა. ჩემი მიზანია არ გავაცდინო არცერთი წუთი და მთელი ჩემი ენერგია მოვახმარო ამ საქმეს.

პირველ დღესვე გამოირჩეოდნენ „საქენერგოს“ ოცეული და № 1 სამკერვალო ფაბრიკის მეორე ოცეული. პირველი დღის დავალება ამ ოცეულთა მებრძოლებმა ფრიადზე აითვისეს.

უდიდესი მონდომებით შეუდგნენ სამხედრო საქმის შესწავლას

საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების პირველ დღეს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში თავი მოუყრიათ სტალინის რაიონის მშრომელთ.

სამხედრო საქმის შესწავლის უდიდესი სურვილით აღჭურვილნი, რაიონის მშრომელები მეცადინეობის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გამოცხადდნენ დანიშნულ ადგილზე.

ორივე პარკში მოწყობილია ვიტრინები სამამულო ომზე, რუსეთის დიდ მხედართმთავრებზე, გერმანელ ფაშისტთა მხეცობაზე; მოწყობილია ვიტრინები შაშხანის, ტყვიამფრქვევების, ხელყუმბარის ზუსტი აღწერილობით.

ასეულები და ოცეულები მწკრივად დგებიან. საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლებაში ჩაბმულთ სიტყვით მიმართავს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის სამხედრო განყოფილების გამგე ამხ. ბ. მიზრახი. იგი განუმარტავს მებრძოლებს საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების მნიშვნელობას და იმ ამოცანებს, რომლებიც დასმულია სწავლებაში ჩაბმულთა წინაშე.

ასეულის უფროსი ამხ. კალანდაძე უპატაკებს რაიონის სამხედრო კომისარს — ბატალიონის კომისარს ამხ. კ. ბალათურიას, რომ სწავლებაში ჩაბმულნი მთლიანად გამოცხადდნენ მეცადინეობაზე. ამხ. ბალათურია განკარგულებას იძლევა, რომ დაიწყონ მეცადინეობის პირველი საათი.

ოცეულის მეთაურები და პოლიტხელმძღვანელები—ამხ. ნ. ჩიქოვანი, დ. ლომიძე, ვ. კორილინი და სხვ. ცალ-ცალკე ოცეულების მიხედვით ატარებენ მეცადინეობას. მეცადინეობის პირველი საათები მუშურ-გლეხური წითელი არმიის დისციპლინარული წესდების გაცნობა - შესწავლას ეთმობა.

კალინინის სახ. ქარხნის სტახანოველმა მღარავმა ამხ. ვ. პავლოვმა განაცხადა:

— წარმოებაში სტახანოვური შრომით საწარმოო დავალებებს 180-200 პროცენტით ვასრულებ. ასევე გულმოდგინედ მოვეკიდები სამხედრო საქმის შესწავლას. სამხედრო საქმის ღრმა შესწავლით გამანადგურებელ ლახვარს ჩავცემთ ჰიტლერელ ბანდიტებს.

— კარგად მაქვს შესწავლილი მანქანის მართვა. გულმოდგინედ შევისწავლი შაშხანას და ტყვიამფრქვევს. სასროლო საქმეს ავტომანქანის მართვას დავუკავშირებ და კარგი ტანკისტი გავხდები. სამხედრო საქმეს კარგად დავეუფლებით და მუსრს გავავლებთ მუხანათ მტერს,—განაცხადა სტახანოველმა შემდუღებელმა ამხ. ვ. ილარიონოვმა.

თბილისის სტალინის რაიონის მშრომელები უდიდესი აღმავლობით შეუდგნენ საყოველთაო სამხედრო სწავლებას. (საქდესი).

მომზადებული შეხვდნენ

ფოთი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ქალაქ ფოთში უმოკლეს დროში შესძლეს ყველაფერი გაეკეთებინათ იმისათვის, რომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების თანახმად, პირველ ოქტომბერს დაეწყოთ სამხედრო საქმის საყოველთაო სავალდებულო სწავლებაში ჩაბმულთა ნორმალური მეცადინეობა.

წინასწარ ჩატარდა წვევამდელთა და სწავლაგაუვლელ თადარიგის სამხედროვალდებულთა ზუსტი აღრიცხვა და ამის საფუძველზე მოხდა დაკომპლექტება. გამოყოფილია სამეცადინო შენობები, დაწესებულია მეცადინეობის დღეები და საათები, დამტკიცებულია მეთაურთა და პოლიტმუშაკთა შემადგენლობა, მომარაგებული აქვთ სასწავლო სამხედრო იარაღები.

მარტო ნავსადგურის მუშებისაგან სწავლებაში ჩაბმულნი 2 ოცეულს შეადგენენ; სამეცადინო შენობა სამუშაო ადგილთან ახლოს აქვთ. ქალაქის სამხედრო კომისარიატში შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომლის ინსტრუქტორები უკვე შეუდგნენ მუშაობას.

ა. შონია

პირველი მეცადინეობა წარმატებით ჩატარდა

გუშინ, პირველ ოქტომბერს, მე-80 საშუალო სკოლის ეზოში შეიკრიბნენ საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლებაში ჩაბმული მებრძოლები კიროვის რაიონიდან. პირველი მეცადინეობა. ყველა მებრძოლი მხნედ და ხალისიანად გამოიყურება. ამხანაგები სიხარულით მოელიან სამხედრო საქმის შესწავლის დაწყებას.

პირველი ცვლის მეცადინეობა ჩატარდა დილის 10 საათიდან 12 საათამდე. პირველ ასეულს კაპიტანი ლ. მეგრაბიანი ხელმძღვანელობს, ხოლო მეორე ასეულს, რომლის პირველი მეცადინეობა საღამოს ჩატარდა, — ლეიტენანტი ს. მამაჯანოვი.

სამხედრო სწავლებაში დასწრება ორივე ცვლაში სანიმუშო იყო. მეცადინეობის პირველ დღეს ორივე ასეულში ჩატარდა მეცადინეობა მებრძოლთა სამწყობრო მომზადების ხაზით.

კიროვის რაიონში საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების პირველი დღე წარმატებით ჩატარდა. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში სამჯერ—სამშაბათობით, პარასკევობით და კვირაობით, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

ელ. ეფრემიძე

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის მოადგილე ამხ. ს. ნოვიკი (მარჯვნივ) ესაუბრება აგიტატორებს ი. ჯორჯაძეს, დ. ჭიჭინაძეს, შ. გოგორიშვილს, გ. შევჩენკოს, ვ. ცაგურიშვილს და ა. თოფურიას საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების შესახებ.

ფოტო რ. აკოფოვისა

მებრძოლთა წერილები მოქმედი არმიიდან

მთელი დღის განმავლობაში გაფთრებული ბრძოლა იყო. სოფელი 6 ხელიდან ხელში გადადიოდა. საღამოს წითელმა მებრძოლებმა საბოლოოდ განდევნეს მტერი სოფლიდან და ხელთ იგდეს დიდი დავლა. ბრძოლაში დაქანცული მებრძოლები ისვენებენ. ბევრი მათგანი უკვე ღრმა ძილს მისცემია, მაგრამ ზოგს ჯერ კიდევ არ დასძინებია, ამოუღია უბიდან ქაღალდი, ფანქრის ნატეხი და სწერს წერილს. იხსენებს სამშობლო სოფელს თუ ქალაქს, მშობლებს, ცოლს, შვილებს, ძმებსა და დებს, ნაცნობ-მეგობრებს და უგზავნის მათ ფრონტიდან საბრძოლო სალამს.

აგერ ერთად შეჯგუფებულან ლეიტენანტები—**ბორის კაშია, დავით გეგენავა, ალექსანდრე ნაცვლიშვილი, არჩილ ბახილაშვილი**, წითელარმიელები — **გელაშვილი და ოდელიშვილი** და სწერენ კოლექტიურ წერილს: „სალამი შენ, ჩვენო მშობლიურო საქართველო! სალამი თქვენ, საბჭოთა ადამიანებო! მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სურვილები მებრძოლებისა. იყავით დარწმუნებული, რომ პირსისხლიან ფაშისტებს ძვირად დავუსვამთ საბჭოთა მიწა-წყლის გადმოლახვას. ჩვენ შეიძლება დავეცეთ ბრძოლის ველზე, ზურგს კი არასოდეს არ ვუჩვენებთ გათავხედებულ მტერს. საბოლოო გამარჯვება ჩვენია“.

ფაშისტებთან ცხარე შეტაკების შემდეგ კოლექტიურ წერილს სწერენ აგრეთვე „კომუნისტის“ რედაქციის სახელზე ქვემეხის მეთაური **ყორა ხურმავა** და წითელარმიელი **დარისპან გელენიძე**. ახალგადატანილი ბრძოლის შთაბეჭდილებით ამხ. ყ. სურმავა და დ. გელენიძე თავიანთ წერილში გვიამბობენ საბრძოლო ეპიზოდს. „ჩვენმა ბატარიამ, რომელსაც მეთაურობს უფროსი ლეიტენანტი ვ. კვაში, ბრძანება მიიღო ხელი შეეწყო ჩვენი ნაწილების კონტრიერიშისათვის. მტრის ტყვიამფრქვევებისა და არტილერიის ცეცხლქვეშ ჩვენმა ბატარიამ დაიკავა საცეცხლო პოზიცია. ამ დროს ჩვენი ჯარის განლაგების თავზე გამოჩნდნენ მტრის „მესერშმიტები“ და „იუნკერსები“. ჩვენი ამოცანა იყო, რაც უნდა დაგვჯდომოდა, უკუგვეგდო მტრის თვითმფრინავები. გაისმა ამხ. კვაშის ბრძანება და გაჩაღდა ბრძოლა ჰიტლერელ სვავებთან. რამდენიმე წუთის შემდეგ ცეცხლი წაეკიდა „ობერ-სვავს“ და ქვასავით დაენარცხა მიწას, მას მიჰყვა ჩვენი ტყვიით დაცხრილული კიდევ ორი „სვავი“, მეოთხე კი დაჭრილი ყორანივით ქანაობს. ნუთუ გაგვექცევა? არა, არ გავუშვებთ! სწრაფად დავავლეთ ხელი შაშხანებს და ისიც დავანარცხეთ მიწას. ამით დამთავრდა ეს საბრძოლო „მატჩი“—4:0 ჩვენი ბატარიის სასარგებლოდ“.

მეტად საინტერესო საბრძოლო ეპიზოდებს მოგვითხრობს წითელი მებრძოლი **ალუა ნიკოს-ძე გოგოლაძე**. „თითქმის სამი თვეა ფრონტზე ვარ, — სწერს იგი. —ამ ხნის განმავლობაში რამდენი ბრძოლა გამოვიარე, ვინ მოსთვლის.

აი ერთერთი სასტიკ, შეუპოვარ ბრძოლაში ჩემს გვერდით სასიკვდილოდ დასჭრეს ჩვენი კაპიტანი. მე მოვინდომე მისი გამოყვანა ბრძოლიდან, მაგრამ ამ დროს ზურგში მომხვდა თოფის კონდახი. სუნთქვა შემეკრა და უგრძნობლად დავეცი ძირს. როდესაც გრძნობაზე მოვედი, თავს მადგა ორი მხეცი ფაშისტი, იქვე ეგდო მათ მიერ ხიშტით დასახიჩრებული გვამი ჩვენი კაპიტნისა. აშკარა იყო, მე საზიზღარ მტერს ჩავუვარდი ტყვედ. წამება და სიკვდილი არ ამცდებოდა. მტკიცედ გადავწყვიტე როგორმე თავი დამეღწია ამ საშინელებისაგან. საღამო ჟამს მე და კიდევ ოთხი მძიმედ დაჭრილი წითელარმიელი, რომლებიც ძლივს მიაბიჯებდნენ, გაგვეგდეს წინ ტყისაკენ. ტყის პირას მხეცმა ფაშისტმა ეფრეიტორმა ჩემს თვალწინ მოჰკლა ოთხი ლონემიხდილი, განაწამები წითელი მებრძოლი. შემდეგ მომიახლოვდა მე და ხელში შეათამაშა რევოლვერი. მაგრამ ამ დროს, ჩემს იღბლად, შორიახლოს ტყიდან ხშირი სროლა ასტყდა. ფაშისტი ჯარისკაცები დაიბნენ. ვისარგებლე მომენტით, დავავლე ხელი სილას, თვალებში მივაყარე ეფრეიტორს და შევვარდი ტყეში. ღამე ჭაობში გავატარე. ეს იყო საშინელი გულშემზარავი ღამე. თავიდან ფეხებამდე დასველებული ვიყავი, მშიერი და ღონემიხდილი. მეორე დღეს წავაწყდი პარტიზანებს. მათი დახმარებით რამდენიმე დღის შემდეგ მივაკვლიე ჩემს ნაწილს“.

აი კიდევ ფრონტის ასეთი ამბავი:

„ერთხელ ჩვენი მზვერავთა ჯგუფი, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი, დაზვერვის დროს წააწყდა მტრის მზვერავებს. მოხდა შეტაკება. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 4 ჯარისკაცი. მათ ეგონათ დავხვრეტდით, მაგრამ როდესაც ჭრილობები შევუხვიეთ და საჭმელი მივეცით, დამშვიდდნენ და საჭმელს მადიანად შეექცნენ. როდესაც ჭამით მოსულიერდნენ, ერთი მათგანი წამოდგა, ჩაიწყო ჯიბეში დარჩენილი პური, ერთი გადახედა თავისიანებს და დაახალა ქუდი მიწას, მოიგლიჯა ეპოლეტები და წამოიძახა: რუს ხაროშ! სტალინ გუტ!“

მთელ რიგ საბრძოლო ეპიზოდებს გვიამბობს აგრეთვე წითელი მებრძოლი **ლეო მიხეილის-ძე ლოტოევი** სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიდან. „ერთერთ ბრძოლაში, —გვწერს ამხ. ლ. ლოტოევი,—ლეიტენანტ მეტრეველის ნაწილმა ტყვედ ჩაიგდო რუმინელთა მთელი ასეული. მათ განაცხადეს, რომ ისინი, გაწამებულნი ამ საშინელი ომით, ყოველთვის ცდილობდნენ წითლების მხარეზე გადმოსვლას, რომ მათ არ სურთ სისხლი დაღვარონ ვიგინდარა ფაშისტებისათვის.

— ერთი თვეა ფრონტზე ვართ,—განაცხადეს რუმინელებმა.—ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ასეული უკვე ათჯერ მაინც შეივსო ახალი მებრძოლებით. ძველი შემადგენლობიდან ოციოდე კაცი-ღა ვართ. და ყველაფერი ეს რისთვის და ვისთვის? მხოლოდდამხოლოდ გაუმაძღარი, პირსისხლიანი ფაშისტებისათვის. როდემდის უნდა ვითმინოთ?—ასეთი კითხვით დაამთავრეს თავისი საუბარი ჩვენთან ტყვე რუმინელებმა. ჩვენ ვფიქრობთ,—სწერს ამხ. ლ. ლოტოევი,—რომ მოთმინების ფიალა უკვე სავსეა. ფაშიზმის ქუსლის ქვეშ გმინავს ხალხი. ეს ხალხი ბოლოს მოუღებს გაცოფებული ქოფაკების თარეშს, საბოლოოდ დაამხობს ფაშიზმს“.

შ. ბვინჩიძე

ფაშისტები მემამულურ წყობილებას ამყარებენ

(კოლმეურნეთა ნაამბობი)

სექტემბრის დამდეგს წითელი არმიის ნაწილებმა ელნიასთან გაანადგურეს და დასავლეთისაკენ უკუაქციეს რჩეული ფაშისტური ჯარები. ფაშისტებისაგან განთავისუფლებულ სოფლებში ახალი სისხლსავსე ცხოვრება დაიწყო. კოლმეურნეები შეუდგნენ გადამწვარი და დანგრეული სახლებისა და შენობების აღდგენას, წესრიგში მოჰყავთ ხიდები და გზები.

გერმანელთა სისხლიანი ბატონობა რაიონის მცხოვრებლებს სამუდამოდ დაამახსოვრდათ. ისინი არასოდეს არ დაივიწყებენ ხვრეტას, ძარცვა-გლეჯას და დაუფარავ მაროდერობას. მდიდარი და აყვავებული კოლმეურნეობა „ოქტიაბრი“ გერმანელებმა პირწმინდად გაძარცვეს. პირველი დღეებიდანვე მათ იქ დაიწყეს ნამდვილი მეფურ-მემამულური წყობილების დამყარება, დააწესეს საბატონო სამუშაო, დააყენეს „მამასახლისი“.

კოლმეურნეობა „ოქტიაბრის“ კოლმეურნეთა ქვემოთმოყვანილი ნაამბობი გვიჩვენებს, თუ რა მოაქვთ ფაშისტ ბანდიტებს რუსი ხალხისათვის.

* * *

მეფისდროინდელ მონობაზე უარესია

ეს, მგონი, კვირას იყო, გერმანელების მოსვლიდან მეექვსე დღეს. ამ დღეებში მიწურებში ვისხედით, ვიმალებოდით. და აი გერმანელებმა ყველანი იქიდან კონდახებით გამოგვყარეს და კოლმეურნეობის კანტორაში მიგვერეკეს. აქ უცებ ორად გაგვყვეს: ქალები ცხვრებივით მირეკეს კუთხეში და უბრძანეს ჩუმად ყოფილიყვნენ, ჩვენ კი, მოხუცებს, ნება დაგვრთეს მაგიდასთან გრძელ სკამებზე ჩამოვმსხდარიყავით. ვნახეთ, რომ ჩვენი ქალები ერთბაშად დაამცირეს; ცხადი გახდა, რომ გერმანელები მათ ადამიანებად არა სთვლიან.

ველით, შემდეგ რა იქნება. მაგიდას უჯდა დრუნჩიანი სამი ოფიცერი და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ვიღაც კაცი. რაზე ლაპარაკობდნენ, ჩვენ არ გვესმოდა. აი წამოდგა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი და რუსულად გამოგვიცხადა:

„ბატონი ოფიცრები გაფრთხილებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება აღარ არსებობს, კოლმეურნეობა აღარ იქნება. ამიერიდან ძალაუფლება ეკუთვნის სოფლის მამასახლისს (და ხელით ივანე მოროზოვზე მიგვითითა). ვინც მას არ დაემორჩილება, იმას დახვრეტენ.

გული ისე ამიფრთხიალდა, როგორც მამალს დაყივლების წინ.

— ეჰ, ვფიქრობ, შე მამაძაღლო, ივანე მოროზოვ. გამცემელო! რევოლუციამდე იგი მეძონძე იყო—ძვლებზე, ჩვრებზე, მატყლის ქულებზე დედაკაცებს სხვადასხვა ჯვრებსა და ზონრებს უცვლიდა. ვაჭრის მაგვარი რაღაც იყო, მხოლოდ ყველაზე დაბალი ხარისხისა. რევოლუციის შემდეგ ღარიბობა დაიჩემა. როგორც ღარიბი, იგი კოლმეურნეობაშიც მიიღეს, თუმცა მუდამ თავს არიდებდა მუშაობას: ხან ავადმყოფობას იმიზეზებდა, ხან სადმე წავიდოდა. აქ კი უცებ გერმანელებისაგან დაყენებულ მამასახლისად მოგვევლინა! ზის ღაჟღაჟა ლოყებიანი, ჭაღარა წვერიანი, სასწაულთმომქმედ ნიკოლოზსა ჰგავს, ზის საზიზღარი, გვიცქერის და თვალსაც არ ახამხამებს. კინაღამ ცხვირპირში მივაფურთხე, მაგრამ დროზე მომაგონდა—დამხვრეტდნენ!

სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი შეგვეკითხა:

— გაიგეთ თუ ვერა ბატონ ოფიცრების განკარგულება?

ერთი სიტყვაც არავის წამოსცდენია.

— შეგიძლიათ წახვიდეთ, მხოლოდ არ დაივიწყოთ: მამასახლისის ბრძანება თქვენთვის კანონია!

გამოვედით — ერთმანეთს ვუყურებთ, თვითეულ ჩვენგანს გული ბოღმით ევსება. კოლმეურნეობა არ არის. არის მამასახლისი, მუქარა, ძარცვა-გლეჯა, დახვრეტა... ცარიზმია? არა, ეს ცარიზმზე უარესია. ამას ვერც კი გამოსთქვამ!

კოლმეურნე
ეფიმ საფონენკო

გერმანელთა საბატონო სამუშაო

მას შემდეგ, რაც გამოგვიცხადეს, არც საბჭოთა ხელისუფლება, არც კოლმეურნეობები აღარ არისო, ბებერმა ძაღლმა ივანე მოროზოვმა — მამასახლისმა—ჩამოურბინა ეზოებს და მინდორში წასაყვანად დაგვიწყო გამორეკა. ბევრმა დედაკაცმა სხვადასხვა რამ მოიმიზეზა, არ მოისურვა გერმანელებისათვის მუშაობა, მე კი გავბრიყვდი და წავედი. მე ექვსი ფუთი ფქვილი მქონდა. მოვიდნენ გერმანელი ქურდბაცაცები და, მიუხედავად ჩემი ხვეწნა-მუდარისა და ცრემლებისა, მთელი ფქვილი პირწმინდად წაიღეს. მე კი ხუთი წვრილი შვილი მყავს, ერთიმეორის მომდევნო. გვშიაო — მეუბნებიან. ვიფიქრე, წავალ ბავშვებისათვის ცოტაოდენ ახალ პურს მოვმკი-მეთქი. მინდვრად სულ ათიოდე კაცი გავედით. ვმკით, ვიღაც ღიპიანი ფაშისტი კი, ალბათ გერმანელი ბატონი, თვალს გვადევნებდა და ღრიალებდა:

— აბა ჩქარა, ჩქარა მომკეთ!

დილიდან ღამემდე ვიმუშავეთ, ის კი საათს დაჰყურებს და სახლში არ გვიშვებს. სასადილოდ მარტო ერთ საათს გვაძლევდა და მოითხოვდა, რომ სახლიდან მისთვის მოგვეტანა შემწვარი ქათამი, კარაქი, და კვერცხები. გავიდა ხუთი დღე. კვირას გვინდოდა მოგვეტანა ძნები და გაგველეწნა. დილით ვნახეთ: ძნები მინდორში აღარ არის.

მაშინ ერთმანეთში მოვილაპარაკეთ ასე მოვქცეულიყავით: დღისით გვემკო, ღამით კი გველეწნა და მარცვალი შეგვენახა. გავლეწეთ, გერმანელები კი მოვიდნენ და მთელი მარცვალი წაიღეს.

— ჩვენ რაღას გვიტოვებთ? — შევეკითხეთ.

— ჩვენ თქვენს ჭმევას არ ვაპირებთ, — გვიპასუხეს, — თქვენ იმუშავებთ, ჩვენ გამგებლები ვიქნებით.

— მშივრები როგორ ვიმუშავებთ?

— თქვენ, ამბობენ, ღორები ხართ, ამიტომ ღორებთან შეგიძლიათ სჭამოთ.

ზოგს ცრემლები გადმოსცვივდა, ზოგს კი ბრაზით აენთო თვალები.

მე მივაფურთხე და მეტი აღარ მიმუშავნია. მირჩევნია შიმშილით მოვკვდე და ბავშვებიც შიმშილით ამოვხოცო, თქვენს საბატონო სამუშაოს კი არ შევასრულებ-მეთქი.

კოლმეურნე
პრასკოვია დუდარევა

ხვრეტა. ცემა-ტყეპა. ძარცვა-გლეჯა

ძარღვებში სისხლი გეყინება სიძულვილისა და მრისხანებისაგან, როდესაც ხედავ, თუ რა მოაქვთ თან ფაშისტებს ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალზე.

სოფელ იაროსლავლში შეიპყრეს და მიზეზის უთქმელად დახვრიტეს კოლმეურნეები ეგორ ტიმონოვი და ნიკოლოზ ტიმონოვი. სოფელ სერებრიანკაში კოლმეურნე თედორე შულყენკოვმა, ყრუმუნჯმა, ვერ გაიგო ფაშისტი უფროსების ბრძანება და იგი ამისათვის იქვე დახვრიტეს. სოფელ მიტკოვოში დახვრიტეს კოლმეურნე ნიკოლოზ სემენჩენკოვი. სოფელ კოპლიანსკაიაში დახვრიტეს კავშირგაბმულობის მუშაკი ვლადიმერ ჩუმაკოვი და ადგილობრივი მასწავლებელი. და ასე დაუსრულებლივ!

ფაშისტები აიძულებდნენ კოლმეურნეებს — მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს — ეთხარათ სანგრები, ეშენებინათ ბლინდაჟები, ამოეთხარათ და გაეთალათ მათთვის კარტოფილი, ეთიბათ ბალახი, მოევლოთ ცხენებისათვის, დაემზადებინათ შეშა, ეზიდნათ წყალი, გაეწმინდათ წაღები. ჩვენი ხალხი მათ თავიანთ მონებად გაიხადეს.

ბრძანების ოდნავი შეუსრულებლობისათვის (ხშირად ენის უცოდინარობის გამო) კოლმეურნეებს ულმობელად სცემდნენ. სცემდნენ დაჩაჩანაკებულ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს, სცემდნენ მუშტებით, მათრახებითა და ჯოხებით. ასე სცემეს 55 წლის კოლმეურნეს ხარიტონ კონდრატენკოვს სოფელ კლემიატინოდან, კარპ პეტრეს-ძე ფირსოვს სოფელ იაროსლავლიდან, 14 წლის ვასია იგნატენკოვს სოფელ სერებრიანკადან და სხვებს.

ხვრეტა, ცემა-ტყეპა, მოძალადეობა, ძარცვა-გლეჯა და მონობა—აი რა მოაქვთ თან ფაშისტ მხეცებს წმინდათა-წმინდა საბჭოთა მიწა-წყალზე. დაე ჩვენი მიწა და მთელი ხალხი აღგზნებული იყოს სიძულვილის დაუშრეტელი ცეცხლით პირსისხლიანი მკვლელებისა და მძარცველებისადმი და საზიზღარ კალიასავით მოსპოს ისინი!

მასწავლებელი
დიმიტრი სენკოვსკი

შავბნელი დღეები

მცირეწლოვან შვილიშვილ შურასთან ერთად გერმანელებმა სახლიდან გამომაგდეს და შიგ შესახლდნენ. ჩვენ საცხოვრებლად გადავედით ორმოში რომელიც თვითონვე ამოვთხარეთ. მაგრამ როდესაც ძლიერი სროლა დაიწყო, გერმანელებმა ამოგვყარეს ჩვენი ორმოდან და თვითონ ჩაძვრნენ შიგ. ისევ ცისქვეშ დავრჩით.

ყაჩაღებმა ღორი წაგვართვეს, არაფერი ვთქვი. მალე მეორის წასაყვანად მოვიდნენ. წყენა ველარ დავფარე. ვეუბნები, რით მძარცვავთ ბავშვიან მოხუცებულს-მეთქი?! მათ კი რევოლვერი მომიშვირეს...

გერმანელები ძალდატანებით ამუშავებდნენ კოლმეურნე ქალებს მინდორში, სადაც ბრძოლა სწარმოებდა. მე ხუთ დღის ჭმკიდი ჭვავს. დავილალე, არაქათი გამომელია, ჩემს მიერ მომკილი ჭვავი კი გერმანელებმა მთლიანად წაიღეს, რომ თავიანთი ცხენებისათვის ეჭმიათ და ქვეშ დაეგოთ.

ო, ბევრი ტანჯვა ვნახე, ბევრი ცრემლი დავღვარე იმ შავბნელ დღეებში! ფაშისტთა ბატონობის ქვეშ ცხოვრება და მათთვის მუშაობა სიკვდილზე უფრო საშინელია. წყეულმც იყვნენ ისინი!

კოლმეურნე ანასტასია იუდინა

ჩვენი შვილები იარაღს არ დაჰყრიან

ამ დღეებში ჩვენთვის სინათლე არ იყო, მზე არ გვათბობდა. შეშინებული ადამიანები კუთხეებში იმალებოდნენ ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

ფანჯარასთან გაივლის გერმანელი, შენ კი სუნთქვას შეიკრავ და ელი: აი დააჩხაკუნებს ურდული და სახლში მძარცველი შემოგივარდება. მიართვი რძე, კვერცხი, პური! მერე რამდენი შემოვა დღის განმავლობაში. შენ ერთს ეუბნები, ის კი, ოხერი, თავისას გაიძახის. ამოიღებს ხანჯალს და სახის წინ გიქნევს.

პირველად ვეურჩებოდი,—მცემეს, მოხუცს თავი დამისისხლიანეს... ხელი ჩავიქნიე, ვიფიქრე: არმად შევერგოთ, მგლებო, ჩვენი დოვლათი-მეთქი!

ასე აჩანაგებენ ისინი ჩვენს სოფელს. მე და ჩემს დედაბერს ჯოხებით დაგვიხოცეს ქათმები, გოჭები დაგვიკლეს, შიშველ-ტიტველი დაგვტოვეს. რა ფრინველია, ვთქვათ, მამალი. გერმანელების შემდეგ კი ამისი ყივილიც აღარ ისმის სოფელში, და თითქოს რაღაც გვაკლიაო.

ახლა ჩვენ ისევ გამოვცოცხლდით. წითელმა არმიამ გარეკა გაუმაძღარი მხეცები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ცოტაა. მე თუმცა 65 წლისა ვარ, მაგრამ ჩვენ, მოხუცები, გულზე ხელებს არ დავიკრეფთ, ხოლო ჩვენი შვილები იარაღს არ დაჰყრიან. და დაჰკრავს მრისხანე ჟამი, როდესაც მთელ ჩვენს ტანჯვას სასტიკად ვაზღვევინებთ გერმანელ მტარვალებს.

კოლმეურნე ანტონ ნიკიტინი

(„პრავდა“, 26/IX)

ფეროშენადნობთა ქარხანა ომის დღეებში

ზესტაფონი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ფეროგიგანტის კოლექტივს დღე და ღამე არ სძინავს. განუწყვეტლად მუშაობენ ბრძმედები. ღუმელებიდან შეუჩერებლად მოედინება ლითონი. ქარხანა ღრმად, მთელი მკერდით სუნთქავს. მტრისადმი მრისხანე სიძულვილი, სამშობლოს გულწრფელი სიყვარული, ჩვენი გამარჯვების ურყევი რწმენა—აი რით არიან შთაგონებულნი ზესტაფონელი მეტალურგები, აი მათი თავდადების წყარო.

მხოლოდ რამდენიმე ფაქტი და ციფრი:

მოლიბდენის საამქრო. მას ინჟინერი ქალი ამხ. ნ. ქათამაძე ხელმძღვანელობს. საამქროს კოლექტივმა მთელ ქარხანაში გაითქვა სახელი. განსაკუთრებით დაძაბულად მუშაობდნენ აგვისტოსა და სექტემბერში. ქარხანაში ყველაზე ადრე მოდიოდნენ და ყველაზე გვიან სტოვებდნენ ღუმელებს. თავაულებელი შრომით გაიმარჯვეს. 16 სექტემბერს წლიური დავალება შეასრულეს!

ვინ სჭედდა ამ გამარჯვებას? ორასოვანი მეტალურგები ამხ. ჩიტორელიძე, ჭაჭანიძე, პირველაშვილი, დემეტრაშვილი, ნებიერიძე, გველესიანი, ბოგვერაძე, ჩხეიძე, ოყროშიძე და მრავალი სხვა. ესენი ხომ ომიანობის დროის ტემპებით მომუშავე ადამიანები არიან, თავდადებული შრომით მტერზე გამარჯვების მჭედელნი.

ამ საამქრომ სასწრაფო დავალება მიიღო. მისი შესრულება ფერხდებოდა. მაგრამ საბჭოთა ადამიანები ყოველ მდგომარეობაში პოულობენ გამოსავალს. ოსტატმა ამხ. გ. ყიფიანმა ისე მოაწყო მუშაობა, რომ სამჯერ შემცირდა დავალების შესრულების დრო, ამდენჯერვე შემცირდა მუშა-ხელი და ამდენჯერვე გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

სადნობმა საამქრომ 20 სექტემბრისათვის შეასრულა 11 თვის გეგმა. 8 თვესა და 20 დღეში—11 თვის დავალება! განა გმირობა და თავდადება არ სჩქეფს ამ ციფრებში?

მთელმა ქარხანამ მარტო ივლის-აგვისტოში შენადნობის ხარისხის გაუმჯობესებით ქვეყანას მისცა 350.000 მანეთი ზედმეტი დაგროვება. მარტო აგვისტოში შარშანდელთან შედარებით თვითღირებულება 12,2 პროცენტით შემცირდა, გეგმასთან შედარებით—9,5 პროცენტით. ზესტაფონელმა მეტალურგებმა 8 თვეში დაზოგეს ორ მილიონამდე კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

სამამულო ომის დღეებში არნახული ძალით გამოვლინდა ქარხნის მუშაკთა შემოქმედებითი, ნოვატორული ნიჭი, უნარი.

ხარატმა ამხ. მ. ციმბალმა ისე მოაწყო თავისი დაზგა, რომ 4 საათში გააკეთა სამუშაო, რომელიც სპეციალურ დანადგარს და მინიმუმ 10 დღის შრომას მოითხოვდა. ამით თავიდან აცილებულ იქნა სადნობი ღუმელების შეფერხება.

მარგანეცის საამქროში ღუმელების შეკეთება წინათ თვეში ორჯერ ხდებოდა, ახლა კი ისე გააუმჯობესეს შეკეთების ხარისხი, რომ ერთხელ შეკეთება კმარა. ამან 70 პროცენტით გაზარდა სადნობი ღუმელების წარმადობა.

ბრიგადა, რომელსაც ამხ. ალ. შეეცი ხელმძღვანელობს, დავალებას 220-250 პროცენტით ასრულებს. ეს ბრიგადა ღუმელის რემონტს წინათ 2-3 საათს ანდომებდა, ახლა კი 30-40 წუთში აკეთებს ამ სამუშაოს.

უკვე განხორციელებულია ინჟინრების ამხ. დ. ჩიკაშუას და გრ. შათირიშვილის წინადადება. ახლა სილიკომარგანეცის გამოდნობა უკირქვოდ ხდება, რაც ჯერჯერობით წლიურად 132.000 მანეთის ეკონომიას იძლევა.

ივლისში განახორციელეს ინჟ. გ. სოხიძის წინადადებაც. წინათ სადნობი კვერებიდან გამავალი აირების წევა ვენტილატორით ხდებოდა, რაც ძალიან ზრდიდა კონცენტრატის დანაკარგს. ახლა კი ეს პროცესი ბუნებრივად ხდება და ქარხანა 88.900 მანეთის დანაზოგს ღებულობს.

მცირე ნახშირბადიანი სილიციუმის მიღებისას ნახევრად გამოშვარი კირის გამოყენებას შეეხება მარგანეცის საამქროს უფროსის ამხ. ზ. ლომთათიძის წინადადება. იგი აჩქარებს დნობის პროცესს, ზრდის ღუმელის გამძლეობას და ადიდებს წარმადობას. ამხ. ლომთათიძის წინადადება ამჟამად ხორციელდება და, წინასწარი გამოანგარიშებით, ქარხანას წლიურად 200.000 მანეთის ეკონომიას მისცემს.

კიდევ ბევრ საინტერესოს აკეთებენ სამამულო ომის ამ დღეებში ზესტაფონელი მეტალურგები. მათი შემოქმედებითი გაქანება მიღწეულით არ კმაყოფილდება.

მეტი ლითონი ფრონტს, მეტალურგებო! იგი რისხვად ეყრება თავზე ვერაგ და მუხანათ მტერს.

პ. ჭიოკაძე

მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსები

სამამულო ომის პირობებში უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მოსკოვის ავტოქარხნისა და დონეცის ქარხნის მუშაკთა ინიციატივას. ამ ინიციატივის აზრი შემდეგია: შორიდან ნუ ვეზიდებით იმას, რაც შეიძლება ადგილობრივ დამზადდეს.

ამ მიმართულებით ზოგი რამ ჩვენი ქარხნის კოლექტივმაც გააკეთა, ჩვენც დავაგროვეთ ადგილობრივი რესურსების გამოყენების გამოცდილება.

მანქანა „გაზის“ უკანა ხიდის პლანეტარული კბილანა მეტად დეფიციტური დეტალია. იგი მხოლოდ მოლოტოვის სახელობის გორკის ავტოქარხანაში მზადდება. ჩვენი ქარხანაც გორკიდან ღებულობს მას. ახლა ადგილობრივ ვასრულებთ ამ დეტალის რემონტს, რაც დიდძალ დანაზოგს აძლევს ქარხანას.

მანქანა „ზისის“ უკანა ხიდის ცილინდრული კბილანებიც დიდი რაოდენობით მიდიოდა უტილში კბილების ამოტეხის მიზეზით. ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსი ტექნოლოგის ამხ. ნ. სოლოღაშვილის მეთოდით ამ დეტალის რემონტიც ავითვისეთ. ამჟამად ქარხანაში ვაწარმოებთ ამ დეტალის რემონტს. ეს ქარხანას წლიურად 29.000 მანეთის ეკონომიას აძლევს.

სამამულო ომის დღეებში ქარხნის კოლექტივმა აითვისა მანქანის ისეთი რთული დეტალების წარმოება, რომლებიც მოსკოვისა და გორკის ავტოქარხნებიდან შემოგვქონდა. ასეთ დეტალების რიცხვს მიეკუთვნება მანქანის ბლოკის სახურავი, მანქანის დგუში, კომპრესორის კარტერი, ტრამბლერის კორპუსი და სხვ.

სერიოზულ მუშაობას ვეწევით აგრეთვე ძველი, ნახმარი დეტალებისაგან ახალი დეტალების დასამზადებლად. გაცვეთილ დეტალებს, რომლებიც დამზადებულია ლეგირებული (ხარისხოვანი) ფოლადისაგან, მასალად ვიყენებთ და მისგან მჭრელ იარაღებს ვამზადებთ. ეს ქარხანას საიარაღო ფოლადის დიდ ეკონომიას აძლევს და ამასთან მეტალურგიული ქარხნებიდან ასეთი ფოლადის შემოზიდვას ამცირებს.

ქარხანაში დიდი მუშაობა სწარმოებს მეტალიზაციის დასანერგავად. ტექნიკური განყოფილების პროექტით უკვე აგებულია მეტალიზაციის საამქრო, რომელიც ამ დღეებში შევა ექსპლოატაციაში. აქ დავამზადებთ ისეთ რთულ დეტალებს, როგორიც არის მანქანის ნახევარღერძების მილები, კარდანის ლილვები, ნახევარღერძის გარსაცმელები და სხვ.

ვაზუსტებთ ტექნიკურ პირობებს, რავ საშუალებას მოგვცემს ექსპლოატაციაში მყოფი დეტალები (მუხლანა ღერძი, განმანაწილებელი ღერძი, ცილინდრების ბლოკები და სხვ.) გამოვიყენოთ ახალ მანქანებზე. ეს მუშაობა სრულდება სხვადასხვა დეტალებსა და კვანძებზე სარემონტო ზომების შექმნით.

სარადიატორო საამქროში, სადაც მანქანის საკისარებსა და მილისებში ბაბიტის ჩასხმა ხდება, ადგილი ჰქონდა ფერადი ლითონების გადახარჯვას. ამასწინათ დავამზადეთ სპეციალური სამარჯვები, რომელთა საშუალებით ბაბიტის ხარჯი თითქმის ერთიორად შემცირდა.

ტექნიკურმა განყოფილებამ სერიოზული მუშაობა გასწია აგრეთვე ფერადი ლითონების შავი ლითონებით შესაცვლელად.

მაგრამ ყველაფერი ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქარხნის ყველა შესაძლებლობა ამოვწურეთ, ყველა რესურსი გამოვიყენეთ. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ ამ მუშაობას, ყოველნაირად გამოვიყენებთ ადგილობრივ რესურსებს და ამ გზით სამშობლოს, ფრონტს მივცემთ მეტსა და მეტ მაღალხარისხოვან პროდუქციას.

გ. გაჩეჩილაძე

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მთავარი ინჟინერი.

ინჟ. გრ. ნიფარიძე

ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსი.

სახსრებისა და მასალის ეკონომიისათვის

სოხუმი (საქინფორმი). საქავტოტრანსის აფხაზეთის კანტორის შოფერები სამამულო ომის დღეებში განსაკუთრებულ ყაირათიანობას იჩენენ საწვავის ხარჯვაში. ისინი გულმოდგინედ უვლიან მოტორებს, ჩინებულად აქვთ შენახული მანქანები, და სამი თვის განმავლობაში (ივნისი-აგვისტო) 13.780 ლიტრი ბენზინი დაზოგეს. საწვავის დაზოგვისათვის ბრძოლაში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს შოფერებმა—ამხ. ა. გურჯიმ და ვ. წულაიამ. პირველმა ორ თვეში 562 ლიტრი საწვავი დაზოგა, მეორემ კი—357 ლიტრი.

საქავტოტრანსის გარაჟის მექანიკური სახელოსნოს სტახანოველები—ამხ. ა. ხერგიანი და ა. რუსანოვი თვითეულ კილოგრამ ლითონს ზოგავენ და ბეჯითად მუშაობენ იმაზე, რომ ნაკლებ დეფიციტური მასალით შესცვალონ დეფიციტური მასალა; ისინი მუშაობენ აგრეთვე ძველი და დამტვრეული დეტალების რესტავრაციაზე. მაგალითად მუხრუჭის მოკლონები წინათ მარტო სპილენძისა და ალუმინისაგან კეთდებოდა, ახლა კი ნარჩენისაგან აკეთებენ. ავტომანქანის მშთობს უკვე ფურცლოვანი რკინისაგან აკეთებენ, ბენზინის ავზისა და რადიატორის საცობს — რკინის ნარჩენისაგან, რითაც შესცვალეს ნიკელი და ალუმინი.

ავტომანქანის გასარეცხად წინათ ყოველთვიურად 300-მდე ლიტრი ნავთი იხარჯებოდა. სახელოსნოს სტახანოველმა ამხ. ა. რუსანოვმა რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ ნავთი კაუსტიკური სოდითა და წყლით შესცვალონ. წინადადება მიღებულია, ამჟამად გარაჟში კეთდება ნარჩენის შესათბობი ავზის მოწყობა, რის შემდეგაც ნავთი სრულიად აღარ იქნება საჭირო.

მთელი ეს და მრავალი სხვა ღონისძიება სახსრებისა და მასალის დიდ ეკონომიას მისცემს წარმოებას.

მექანიკური საამქრო ორასოვანი იქნება

ჩვენი საამქროს კოლექტივს კარგად აქვს შეგნებული, რომ ზურგში გმირული შრომით იჭედება ვერაგ მტერზე გამარჯვება. როცა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ორასოვანთა მოწოდებას გავეცანით, მტკიცედ გადავწყვიტეთ: ჩვენი საამქრო ორასოვნად გადავაქციოთ.

მექანიკურ საამქროს ჰყავს ზეინკალთა ბრიგადები, რომლებსაც ამხ. ს. ქაჯაია და ზ. ხვედელიძე ხელმძღვანელობენ და რომლებიც 200 პროცენტით ასრულებენ დავალებას. 200 პროცენტზე ქვევით არ ჩამოდის შემდუღებლების ამხ. ალ. კახნიაშვილის, პლ. ჩაფიძის, ხარატების ამხ. პ. ბარაბაძის, ივ. კაპანაძის, ზეინკლების ამხ. გ. ქურციკიძისა და პ. ბიწაძის საწარმოო მაჩვენებლები.

საამქროს ინჟინერ-ტექნიკოსები არაფერს არ დაიშურებენ იმისათვის, რომ ყოველდღიურად იზრდებოდეს ორასოვანთა რიგები. ჩვენ ყოველნაირად დავეხმარებით სტახანოველებს, მზრუნველობას არ მოვაკლებთ მათ, გავაძლიერებთ სტახანოვური სკოლების მუშაობას, მოვაწყობთ სტახანოველთა გამოცდილების ფართო პოპულარიზაციას.

ორასოვანთა რიგების ზრდაში დაგვეხმარება აგრეთვე რაციონალიზატორული და ტექნიკური აზრის ამოძრავება, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენება. ამ დარგში ზოგიერთი გამოცდილება ჩვენ უკვე დავაგროვეთ. ჩვენ საამქროში ვიყენებთ ინჟ. დ. ჩიხელიძის წინადადებით დამზადებულ მრგვალი და კუთხოვანი რკინების ავტომატურად გადამჭრელ მაკრატელს, რომელიც თვალსაჩინოდ ადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

სამამულო ომის დღეებში ფართოდ ვიყენებთ აგრეთვე წარმოების ნარჩენებს, რომლებსაც წინათ ვყრიდით. ელექტრომრავების საკისარებისათვის საჭირო დეფიციტური ლითონი შეცვლილია შედარებით იაფფასიანი და არადეფიციტური მასალით. მანქანების საკისარებშივე თითბრის ნაწილები შევცვალეთ თუჯის ნაწილებით. ასევე მოვიქეცით საბურღავი მანქანებისა და საბაგირო გზის ბორბლების მილისაყების რემონტისას. იქ თითბრის ნაწილები იაფფასიანი ლითონით შევცვალეთ.

ჩვენი სიტყვა საქმედ იქცევა: მალე მექანიკური საამქრო ორასოვანი იქნება.

ინჟ. შ. ფალავა

ჭიათურის მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს მექანიკური საამქროს უფროსი.

თურქული გაზეთი ფრანგი ხალხის საბრძოლო სულისკვეთების შესახებ

სტამბოლი, 30 სექტემბერი (საქინფორმი). გაზეთი „სონ ჰავადისი“ იუწყება: „საფრანგეთის ოკუპირებულ ნაწილში ფართოვდება ანტიგერმანული საბოტაჟი და გერმანელებზე თავდასხმა, დღითიდღე ძლიერდება უკმაყოფილება და ოპოზიცია ვიშის მთავრობისადმი“. გაზეთი აღნიშნავს: საფრანგეთში ანტიგერმანული მოძრაობის ზრდა დაკავშირებულია იმასთან, რომ წითელი არმია მედგარ წინააღმდეგობას უწევს გერმანელთა თავდასხმას. მოძრაობის გაქანებასა და მის მნიშვნელობას მჭევრმეტყველურად მოწმობს ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელ ხანს 45 ათასზე მეტი კაცი დააპატიმრეს, რომლებსაც ბრალად დასდეს საბოტაჟი. საფრანგეთის დიდ ქალაქებში და პატარა სოფლებში,—სწერს გაზეთი, — ყველგან გერმანელ ჯარისკაცებს სდევნიან ფარული ძალები. თვითეული გერმანელი ჯარისკაცის მოკვლისათვის 10 ფრანგს ხვრეტავენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, თავდასხმა არა სწყდება, ფრანგი ხალხი თანდათან ხვდება, რომ მას სასტიკად ატყუებდნენ იმის შემდეგ, რაც მან იარაღი დაჰყარა. ფრანგები 15 თვის განმავლობაში სდუმდნენ, მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, რომ უბრძოლველად ზავი ილუზიას წარმოადგენს.

შეიარაღებული შეტაკება უნგრეთისა და სლოვაკიის მესაზღვრე ჯარებს შორის

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი (საქინფორმი). გერმანიის „მოკავშირეთა“ ბანაკში კინკლაობა არა სწყდება. განსაკუთრებით გამწვავდა ურთიერთობა უნგრელებსა და სლოვაკებს შორის. აღნიშნავენ, რომ უნგრელებსა და სლოვაკებს შორის შეტაკება განუწყვეტლივ ხდება. ოვერსის ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ უნგრეთისა და სლოვაკიის ჯარებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა სასაზღვრისპირა პუნქტ ეიტნი-ოსტროვის მახლობლად. სლოვაკთა ჯარმა ხელთ იგდო 3 უნგრული სოფელი, ხოლო უნგრელებმა —3 სლოვაკური სოფელი.

ახალი შეხლა-შემოხლა და ინტრიგები ჰიტლერის „მოკავშირეთა“ ბანაკში

სტოკჰოლმი, 30 სექტემბერი (საქინფორმი). გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის“ ბერლინელი კორესპონდენტის ცნობით, ბრატისლავაში რუმინეთსა, ხორვატიასა და სლოვაკიას შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს, რომლის მიზანია „დაცულ იქნას ამ ქვეყნების ზოგიერთი საერთო პოლიტიკური ინტერესები“. კორესპონდენტის აზრით, საქმე ეხება სამი ქვეყნის ანტიუნგრული ბლოკის შექმნას, რადგან სამივე მათგანისათვის საერთო გარემოება გადაუწყვეტელი ტერიტორიული დავა უნგრეთთან. თათბირი მოწვეულია გერმანელთა პირდაპირი წინადადებით, რომელთაც ამ გზით სურთ მოიპოვონ უნგრელებზე „ზეგავლენის“ კიდევ ერთი საშუალება იმ შემთხვევისათვის, თუ ისინი არ მოისურვებენ აღმოსავლეთის ფრონტზე გასაგზავნად ჰგზავნონ ახალი დივიზიები.

ამ თათბირის მოწვევამ დიდი შეშფოთება გამოიწვია ბუდაპეშტში. ამის გამო უნგრეთის პრემიერი ბარდოში სპეციალურად ეწვია გერმანიის ბუდაპეშტელ დესპანს.

ჩეხოსლოვაკიაში დაძაბული მდგომარეობა

ლონდონი, 30 სექტემბერი (საქინფორმი). ჩეხოსლოვაკიიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ჩეხოსლოვაკიაში მეტად გამწვავდა მდგომარეობა. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, ნოირატის გადადგომა იმან გამოიწვია, რომ ჩეხიისა და მორავიაში ძლიერ გახშირდა საბოტაჟისა და გაფიცვის აქტები. ჰიტლერმა გადასწყვიტა სისხლის მორევში ჩაეხრჩო ჩეხთა წინააღმდეგობა. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს ის გარემოება, რომ ჩეხიისა და მორავიის პროტექტორის თანამდებობაზე დანიშნეს ცნობილი ჯალათი და სადისტი ჰაიდრიხი, რომელსაც „ევროპის ჯალათს“ უწოდებენ ოკუპირებულ ქვეყნებსა და გერმანიაში ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჰაიდრიხმა ჩეხოსლოვაკიაში თავისი თარეში იმით დაიწყო, რომ საგანგებო წესები გამოაცხადა და მასობრივი სიკვდილით დასჯა მოაწყო. ჩეხოსლოვაკიის ყველა სასტუმრო, რესტორანი, კინო, საზოგადოებრივი დაწესებულება კრების დარბაზი 22 საათზე უნდა დაიხუროს. აკრძალულია ჩეხთა ყოველგვარი კრება იმის მიუხედავად, თუ რა ხასიათისაა იგი. წარმოდგენა, კონცერტი, სპორტული და კულტურული დღესასწაული. ჩეხოსლოვაკიაში მძვინვარებს სამხედრო სასამართლოები, რომელთაც „საგანგებო წესების“ საფუძველზე მხოლოდ ორგვარი განაჩენი გამოაქვთ: ან დახვრეტა, ან ჩამოხრჩობა.

პროტექტორატის პრესა იუწყება, რომ პრაღის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა ყოფილ გენერალ, არმიის სარდალ იოზეფ ბილის და ყოფილ დივიზიის გენერალ გუგო ვოიტს. იმავე ტრიბუნალმა სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა ლადისლაუსს, კომზაკსა და ვენცელ ფრანკს, რომელთაც აქტიური ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული ჰიტლერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ.

„სახელმწიფო ღალატისა და საბოტაჟისათვის“ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს ბრიგადის გენერალ ფრანც გორაჩეკს, აგრეთვე ანტიფაშისტებს—ფრანც ვინზს, იოჰან პეტრუკს, იაროსლავ სედლაჩეკს, დუშან შუბერტსა და 15 სხვა მოქალაქეს. განაჩენი მოყვანილია სისრულეში. როგორც ინგლისის რადიო იუწყება, ჰიტლერის ტერორის პასუხად პრაღაში, კლადნოსა და სხვა ქალაქებში დაიწყო გაფიცვები და საბოტაჟის აქტი გახშირდა. კერძოდ, გაიფიცნენ საავიაციო მოტორთა გამომშვები ქარხნის მუშები. მთელი ჩეხოსლოვაკია აღშფოთებულია ჰიტლერელთა ახალ-ახალი ბოროტმოქმედებით.

გერმანიაში კათოლიკურ ეკლესიას სდევნიან

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი (საქინფორმი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, გერმანიის მთავრობის ოფიციალურმა ორგანომ გამოაცხადა, კათოლიკური ორგანიზაციის „სენტ ვალენტინუს ჰაუსის“ საკუთრებას რეინის ოლქში კონფისკაცია უყვეს იმ საფუძვლით, რომ ეს ორგანიზაცია „სახელმწიფოს მიმართ მტრულად განწყობილი“ არისო.

გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსის“ განცხადებით, კათოლიკური ეკლესიისა და გერმანიის მთავრობის ბრძოლა ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ჯერ კიდევ ივლისის დამდეგს გავრცელდა მიუნსტერის ეპისკოპოს გალენის წერილი, სადაც მას მოჰყავდა გერმანიაში კათოლიკეთა დევნის ფაქტები. გალენმა ეკლესიის კათედრიდან მკვეთრად დაჰგმო ფსიქიურად დაავადებულთა და ხეიბართა დახოცვა, რასაც გესტაპო ეწევა.

როგორც გადმოგვცემენ, გალენის ქადაგებას მიმეოგრაფით ამრავლებენ დაავრცელებენ მთელს გერმანიაში, მათ შორის არმიაშიც.

გაზეთმა „ჩიკაგო დეილი ნიუსმა“ გამოაქვეყნა ამერიკის ეკლესიების პროტესტანტთა ფედერალური საბჭოს მდივნის ლეიპერის სტატია, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ გერმანიის მთავრობა ბევრ ოკუპირებულ ქვეყანაში განზრახ ცდილობს მოსპოს ეკლესია, განსაკუთრებით პოლონეთში, სადაც ნაცისტები ხშირად სიკვდილით სჯიან მღვდლებს, დახურეს კრაკოვისა და პოზნანის საკათედრო ტაძრები და გააძევეს ეპისკოპოსები. ლეიპერი აღნიშნავს, რომ ნორვეგიაში გერმანელებმა საბჭოთა კავშირში შეჭრის შემდეგ თავიანთი პოლიტიკა შესცვალეს. წინათ ნაცისტები ნორვეგიის ეკლესიას სდევნიდნენ, მაგრამ სსრ კავშირში შეჭრის შემდეგ მათ კვისლინგელებს უბრძანეს ეპისკოპოსთა უფლებებში არ ჩაერიონო. ამ გზით მათ სურდათ მიეღწიათ იმისათვის, რომ ეკლესიას მხარი დაეჭირა მათი „ანტიბოლშევიკური ჯვაროსნული ლაშქრობისათვის“. როდესაც ნორვეგიის სამღვდელოებამ თითქმის ერთსულოვნად სთქვა უარი ხელი მოეწერა სსრ კავშირზე ნაცისტთა თავდასხმის მხარდამჭერის განცხადებაზე, გერმანელებმა სამ-სამი ათასი კრონით დააჯარიმეს ყველა ის პირნი, რომელთაც უარი სთქვეს ამ განცხადების ხელმოწერაზე, მათ შორის ეპისკოპოსი ბერგრავიც.

მოქმედი ფლოტი. სურათზე: შავი ზღვის ფლოტის ხომალდები მიდიან საბრძოლო ოპერაციაზე.

ფოტო ვ. მიკოშისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 30 სექტემბერი (საქინფორმი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 29 სექტემბერს დღისით ბელგიის სანაპიროსთან ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა ჩაძირეს საზღვაო კარჟაპი, ცეცხლი გაუჩინეს ერთ საბადრაგო ხომალდს და დააზიანეს რამდენიმე სხვა გემი. მწყობრიდან გამოყვანილია სანაპიროს საარტილერიო ბატარია.

გამანადგურებელთა სხვა შენაერთებმა იერიში მიიტანეს ავტოკოლონაზე დიეპის (ჩრდილოეთ საფრანგეთი) მახლობლად და ცეცხლი გაუჩინეს 5 სატვირთო მანქანას.

29 სექტემბერს ინგლისის ყუმბარმშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ ბალტიის გერმანელთა უმნიშვნელოვანეს ნავსადგურს—შტეტინს. ბომბარდირების შედეგად ნავსადგურში ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. ავიაციის მეორე ძლიერი შენაერთი თავს დაესხა ჰამბურგის რაიონს. ამას გარდა, ინგლისის ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს დოკებზე შერბურგსა და ჰავრში.

ამ ოპერაციების დროს ინგლისის ერთ-ერთმა ყუმბარმშენმა მოწინააღმდეგის ორმოტორიანი გამანადგურებელი ჩამოაგდო, მეორე კი სერიოზულად დააზიანა. ინგლისის 8 ყუმბარმშენი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ერთდროულად ინგლისის ავიაგამანადგურებლები თავს დაესხნენ მტრის აეროდრომებს საფრანგეთში.

29 სექტემბერს ღამით მტრის თვითმფრინავმა ყუმბარა დაჰყარა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ შოტლანდიის ქალაქს. დანგრეულია რამდენიმე სახლი, არის მსხვერპლი.

ლონდონში მყოფი საბერძნეთის მთავრობის შემადგენლობა

ლონდონი, 30 სექტემბერი (საქინფორმი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, საბერძნეთის ახალ კაბინეტს ლონდონში შემდეგი შემადგენლობა ჰყავს: პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ცუდეროსი, საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე სიმოპულოსი, ინფორმაციის მინისტრი მიხალოპულოსი, ფინანსთა მინისტრი ვარვარესოსი, შრომის მინისტრი დიმიტრატოსი, ახლო აღმოსავლეთში—პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საზღვაო მინისტრი ადმირალი საკელარიუ, სამხედრო მინისტრი დიმიტრაკაკისი, ავიაციის მინისტრი ნიკოლაიდისი, ამერიკის შეერთებულ შტატებში—სავაჭრო ნაოსნობის მინისტრი თეოდორაკდისი.

გერმანიაში ადამიანთა რეზერვები ილევა

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი (საქინფორმი). გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსი“ იუწყება, რომ გერმანიის ოფიციალური წარმომადგენლები შორეულ აღმოსავლეთში ცდილობენ არმიაში შეაგროვონ გერმანელი ქვეშევრდომები. გაზეთის აზრით, ეს იმას მოწმობს, რომ გერმანიაში ადამიანთა რეზერვები გამოლეულა. ამას წინათ გერმანიის წარმომადგენლებმა ინდო-ჩინეთის საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში მყოფ 200 გერმანელს, უმთავრესად პოლიტიკურ ლტოლვილთ, ხელშეუხებლობა შესთავაზეს, თუ ისინი გერმანიის არმიის რიგებში შევლენ.

ლითონის დასაშლელი ბადე, რომელსაც ინგლისის აეროდრომებზე ხმარობენ თვითმფრინავის სწრაფად აფრენისა და დაშვებისათვის.

ლაწერილებითი ცნობები ხმელთაშუა ზღვაში მომხდარი ოპერაციის შესახებ

ლონდონი, 30 სექტემბერი (საქინფორმი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ხმელთაშუა ზღვაში ინგლისის გემთა ქარავანზე იტალიის ავიაციის თავდასხმის დროს მოსპობილია იტალიელთა 13 თვითმფრინავი, მათ შორის 10 ტორპედოსანი. ქარავანი დანიშნულების ადგილას ისე მივიდა, რომ მხოლოდ 1 სავაჭრო გემი დაიკარგა. დაზიანებულია აგრეთვე ინგლისის სახაზო გემი „ნელსონი“, რომელიც ტორპედომ გაჰკრა. სახაზო გემის სვლის სიჩქარე უმნიშვნელოდ შემცირდა; ხომალდზე მსხვერპლი არა ყოფილა. ინგლისის ავიაციამ 3 ჰიდროთვითმფრინავი დაჰკარგა.

სიცოცხლე და სიკვდილი

გენერალ ჰუდერიანის ადიუტანტი ლეიტენანტი ჰორბახი მოკლულ იქნა პოგართან ბრძოლაში. ლეიტენანტის ჯიბეში იპოვნეს გაუგზავნელი წერილი. ფუჭ ტრაბახთან ერთად („ათი დღის შემდეგ ჩვენ შევკრავთ რკალს მოსკოვის გარშემო ტულაში“) წერილი შეიცავს საყურადღებო აღიარებასაც. ლეიტენანტი სწერს:

„თქვენ მეკითხებით რა აზრისა ვარ რუსებზე. შემიძლია მხოლოდ ის ვთქვა, რომ მათი ქცევა ბრძოლის დროს განსაცვიფრებელია. სიმტკიცესა და ხერხიანობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მათს ხასიათში ყველაზე შესანიშნავია წარმოუდგენელი სიჯიუტე. მე თვითონ ვხედავდი, რომ უძლიერეს საარტილერიო ცეცხლქვეშ ისინი ადგილიდან არ იძროდნენ. ნაპრალი მაშინვე ივსებოდა ახალი წყებებით. ეს თითქოს სიმართლეს არა ჰგავს, მაგრამ ხშირად ეს საკუთარი თვალით მინახავს. ეს ბოლშევიკური აღზრდისა და ბოლშევიკური მსოფლმხედველობის ნაყოფია. ცალკეული ადამიანის სიცოცხლე მათთვის არაფერი არ არის, ისინი მას ზიზღით უყურებენ“...

გერმანელი ლეიტენანტი მართალია, როდესაც ლაპარაკობს ჩვენი ადამიანების უმავალითო სიმამაცეზე, მათს წმინდათა-წმინდა სიმტკიცეზე, რომელსაც ის „სიჯიუტეს“ უწოდებს. მაგრამ ჰუდერიანის ადიუტანტი ჩვენი ადამიანების სულს ვერ გაიგებს. იგი ადამიანზე მსჯელობას ბედავს! მის გერმანიაში ხომ ადამიანები არ არსებობენ, იქ არიან მხოლოდ მანქანები, ავტომატები, რობოტები. ჩვენი მებრძოლები კი ცოცხალი ადამიანები არიან. ერთი არა ჰგავს მეორეს. თვითეულს უჭირავს თავისი ახალგაზრდობა, თავისი სითბო, თავისი სიყვარული. მაგრამ ჩვენ ყველას გვაერთიანებს სიყვარული თავისუფლებისადმი, სიყვარული სამშობლოსადმი, ადამიანური ღირსების გრძნობა. ჩვენ ვიცით, რა არის ნამდვილი სიცოცხლე, სიცოცხლე წელში გამართული, სიცოცხლე მთელი ხმით. ეს სიცოცხლე იმდენად მშვენიერია, რომ მისი გულისათვის ყოველი მებრძოლი მზად არის თავისი სიცოცხლე გასწიროს.

ჩვენს წინააღმდეგ მოდიან თავისქალის რაზმები. მათ სამარის გახრწნილების სუნი ასდით. და აი სიკვდილის ამ მოსამსახურეთაგან ერთერთი ამბობს, რომ ჩვენ სიცოცხლე გვეზიზღება. ის ბრმა იყო—ის ხედავდა, როგორ მიდიოდნენ რუსები ბრძოლაში, როგორ უშიშარნი არიან ისინი ცეცხლის წინაშე, და მან ვერ გაიგო ერთი რამ: ჩვენ სიცოცხლე კი არ გვეზიზღება, არამედ სიკვდილი. და, თუ საჭირო იქნება, თვითეული ჩვენგანი სასიკვდილოდ გასწირავს თავს სიცოცხლისათვის, ჩვენი შვილების ბედნიერებისათვის, ჩვენი ქვეყნის ღირსებისათვის.

განსაცდელის სუსხიან დღეებში, თვალს ვუსწორებთ რა სიკვდილს, ჩვენ ვფიცავთ ცოცხალი სიცოცხლის ერთგულებას.

ილია ერენბურგი

(„კრასნაია ზვეზდა“, 23/IX).

დავუმზადოთ თბილი ტანსაცმელი წითელ არმიას

თბილი ტანსაცმელი წითელი არმიის მებრძოლთათვის

გაზეთ „ბოლშევისტსკაია პუტიოვკას“ რედაქციის, გამომცემლობის და სტამბის კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა ქ. ახალციხის მშრომელ ქალთა ინიციატივას წითელი არმიის მებრძოლთათვის თბილი ტანსაცმლის გაგზავნის შესახებ.

მუშა-მოსამსახურეებმა უკვე შემოიტანეს ქათიბები, თექის ჩექმები, თბილი სვიტერები, წინდები, ხელთათმანები, თბილი ქუდები და სხვ. ამის გარდა, შეკერილია და ფრონტზე იგზავნება 150 ცალი ბალიშისპირი და 5 ზეწარი.

ამხ. პ. კოზლოვმა ფრონტზე წითელი არმიის მებრძოლთათვის გასაგზავნად შემოიტანა თექის ჩექმები, ქ. გიუკმაქათიბი; გ. სანტურჯიანმა, ა. ზარიძემ, ი. დოლიძემ, თ. მაჩაბელმა, ე. ჩაკვეტაძემ, ა. გერასიმოვმა, ვ. გოგავამ შემოიტანეს შალის სვიტერები, წინდები და ხელთათმანები, გ. დალაქიანმა შემოიტანა კავკასიური ნაბადი, მ. მირონოვამ—თბილი კაშნე და ხელთათმანები. (საქინფორმი).

წარმატებით მიმდინარეობს

წულუკიძის რაიონში შეგროვებულია 881 თბილი პერანგი და ჯემპერი, 225 შალის წინდა და ხელთათმანი, 259 წყვილი საცვალი, 25 წყვილი ჩექმა და 1000 სხვადასხვა სახის ტანსაცმელი. გარდა ამისა, წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა საწყობს ჩააბარეს 100 ცალი ლეიბის პირი და 56 ზეწარი. თბილი ტანსაცმლის შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს.

ი. ქაშიბაძე

კაგანოვიჩის სახელობის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში

სამამულო ომის დღეებში დიდ მუშაობას ეწევა ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლი. სახლის სააგიტაციო ბრიგადამ, რომელიც წითელი არმიის ნაწილთა მომსახურებისათვის მოეწყო, მოკლე ხანში გამართა 102 კონცერტი, 43 კინოსეანსი, უჩვენა საუკეთესო სურათები პატრიოტულ თემაზე.

სახლის სასაზო სექტორმა ვაგონ-გამოფენაში „ამხანაგ სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა“ მოაწყო მე-4 განყოფილება „დიდი სამამულო ომი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ“. უახლოეს ხანში ვაგონი ხაზზე მიდის, სადაც მომსახურებას გაუწევს ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურთა მუშაკებს.

ამას წინათ ბავშვთა რკინიგზასთან ნორჩარმიელთა ბატალიონი შეიქმნა. ბატალიონმა პირველ დღეებშივე შეაგროვა 20 ტონა ჯართი, მოაწყო რამდენიმე შეხვედრა წითელარმიელებთან. ბატალიონის ყველა წევრს ჩაბარებული აქვს მსთ-ისა და სქთ-ის ნორმები.

სახლის თანამშრომელმა ქალებმა და კაცებმა 62 კომპლექტი თბილი ნივთები გაუგზავნეს წითელი არმიის მებრძოლებს. (საქინფორმი).

ნორჩ პატრიოტთა საქმეები

თბილისის მთავარ მაგისტრალებზე — რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტზე, ლ. პ. ბერიას სახელობის, კარლ მარქსის სახელობისა და შაუმიანის სახელობის მოედანზე, ლენინის ქუჩაზე, ელბაქიძის დაღმართზე და სხვა მოედნებსა და ქუჩებზე, სადაც დიდი მოძრაობაა, ხშირად ნახავთ წითელყელსახვევიან ბავშვებს — პიონერებს, რომლებიც მილიციის მუშაკებს აქტიურად ეხმარებიან ქუჩის მოძრაობის მოწესრიგებაში.

ესენი არიან თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლესთან არსებული ბავშვთა გასამხედროებული კორპუსის ნორჩი არმიელები. დღეისათვის ქუჩის მოძრაობის მოწესრიგებაზე პიონერთა სასახლის 250-მდე ნორჩი არმიელი მუშაობს.

ნორჩი არმიელები სისტემატურად მორიგეობენ აგრეთვე კლუბებსა, კინოებსა და თეატრებში, სადაც დიდად უწყობენ ხელს საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას.

* * *

თბილისის პიონერთა სასახლის ნორჩმა არმიელებმა ქ. ახალციხის პატრიოტ ქალთა მოწოდების პირველი დღეებიდანვე უდიდესი ხალისით დაიწყეს გმირული წითელი არმიის მებრძოლთათვის საზამთრო საჩუქრად თბილი ტანსაცმლის შეგროვება.

200-მდე ტონა შეგროვილი შავი და ფერადი ლითონის ჯართითა და სხვა შემოსავლით ნორჩმა არმიელებმა 4.000 მანეთი შეაგროვეს, რომლითაც ისინი ფრონტზე გასაგზავნ თბილ ტანსაცმელს იძენენ. ნაყიდი და შეგროვილი მატყლისაგან 50-მდე პიონერი გოგონა წინდებს, ხელთათმანებსა და ყელსახვევებს ჰქსოვს წითელარმიელებისათვის. (საქინფორმი).

საგლიტგამის ახალი გამოცემები

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „საბლიტგამი“ სამამულო ომის დღეებში უშვებს წიგნებსა და ბროშურებს ჩვენი ქვეყნის გმირულ წარსულზე, სამოქალაქო და სამამულო ომის გმირებზე, გამოჩენილ მხედართმთავრებზე.

ქართულ ენაზე გამოიცა ს. ბორისოვის წიგნი „ბაგრატიონი“, გამოდის ნ. ჟგიაშვილის „ალექსანდრე ნეველი“, ოსიპოვის „სუვოროვი“, „ს. კ. ტიმოშენკო“ (საბჭოთა კავშირის მარშალ ს. კ. ტიმოშენკოს ბიოგრაფია და სამხედრო მოღვაწეობა), ს. ბორისოვის „ფრუნზე“, აკადემიკოს ტარლეს „ნაპოლეონი“ და სხვ. (საქინფორმი).

დასრულდა ჭიათურა-საჩხერის გასამხედროებული ალპინისტური ლაშქრობა

ჭიათურა (ტელეგრაფით). 30 კაცმა განუწყვეტელ წვიმაში, ქარბუქში, თოვლში ფეხით გაიარა 200 კილომეტრი. მათ გადალახეს სამი გადასავალი, აიღეს მწვერვალი ბრუტსაბძელა. გზადაგზა წარმატებით ტარდებოდა მეცადინეობა ხელყუმბარის ტყორცნაში, ორიენტირებაში, სამწყობრო საქმეში და სხვა სამხედრო გამოყენებითს დისციპლინებში. ალპინიადაში მონაწილეობენ მხოლოდ წვევამდელები, რომლებიც პირველ რიგში წავლენ წითელი არმიის რიგებში.

ა. ჯაფარიძე

პირველი თოვლი ტყიბულში

ტყიბული („კომუნისტის“ კორ.). 30 სექტემბერს ღამით ტყიბულში არაჩვეულებრივად აცივდა. აქ უკვე მოვიდა პირველი თოვლი. ასე ადრე დაზამთრება ტყიბულში მოხუცებსაც კი არ ახსოვთ.

ლექცია

3 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პრ., 21) შესდგება ამხ. ხულეიმანის მოხსენება რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი“.**

ბილეთების მიღება შეიძლება რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზის სალაროში, საქ. კ. პ (ბ) თბილისის კომიტეტის ქალაქის სააგიტაციო პუნქტში და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. რაიკომების რაიონულ აგიტპუნქტებში.

თეატრებში

სახოპერა—2 ოქტომბერს — **„ქეთო და კოტე“**, 3 ოქტომბერს — **„დაისი“**, 4 ოქტომბერს — **„რიგოლეტო“**, **რუსთაველის სახელობის** — 2 ოქტომბერს — **„ოლევა“**, 3 ოქტომბერს — **„დალატი“**, 4 ოქტომბერს — **„ოლევა“**, **მარჯანიშვილის სახელობის** — 2 ოქტომბერს — **„ბერლინის გასაღები“**, 3 ოქტომბერს — **„ცხვრის წყარო“**, 4 ოქტომბერს — **„ბედნიერება“**, **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 2 ოქტომბერს — **„თოვლის დედოფალი“** (მე-3 აბ.), 3 ოქტომბერს—**„თოვლის დედოფალი“** (მე-16 აბ.). 4 ოქტომბერს — **„თოვლის დედოფალი“** (მე-33 აბ.).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „მელორე“, ოქტომბერი — „მუსიკალური ისტორია“. **დამკვრელი** — „პაბუკი ტაიგიდან“, **კომკავშირელი** — „ქალიშვილი ხიდობნიდან“, **სპარტაკი** — „დიდი ვალსი“, **ლუქსემბურგის სახ., 26 კომ. სახ.** და **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს“, **კომინტერნი** — „მტკიცე ხასიათის ქალიშვილი“, **განთიადი** — „ტორეოკელი თერძი“, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „კაცი რესტორანიდან“, **მეცნიერება და ცოდნა** — „მეკარე“, **საზკვების კავშირის კლუბი** — „მესაზღვრეები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი

ვ. ხატიაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ 1941 წლის 18 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ., № 12), მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, ფაკულტ. ქირურგიის კათედრის დოცენტი **მიხეილ გიორგის-ძე ტუავაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„თავის ტვინის მაგარი გარსის პლასტიკა შემოხტოლით“.**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. ერისთავი, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე პროფ. ულენტი, პროფ. ე. ზაქარაია და პროფ. ს. ყიფშიძე.

20 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავენ დისერტაციას: ექიმი **შალვა ვარლამის-ძე თარგამაძე**—თემაზე: **„პლაცენტის როლი აზოტურ ნივთიერებათა ცვლაში“.**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ პ. შუშანია და პროფ. ალ. აბულაძე.

პროპედევტ-ქირურგიის კლინიკის ასისტენტი **ოთარ გიორგის-ძე ჟუმბურიძე**—თემაზე: **„მასალები ღვიძლის დეპონირებითი ფუნქციის საკითხისათვის მწვავე ანემიისა და სისხლის გადასხმის დროს“**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. გ. ვაწაძე და პროფ ე. ზაქარაია.

27 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, იმავე აუდიტორიაში, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავენ დისერტაციას:

ექიმი სტომატოლოგი **მავრა გიორგის-ასული ქართველიშვილი**—თემაზე: „Наблюдения над действием некоторых анестетиков в стоматологической практике (клинико-экопермментальные исследования)“.

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მეცნიერების დამსახურებული მოღვ. პროფ. გ. მუხაძე და პროფ. ცქიმანაური.

ფარმაცევტ. ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი **არისტრახ ევსევის-ძე მშვიდობაძე**—თემაზე: **„მასალები იმერული ხეჭრელას Khamnus imeretino köhne ქერქის ქიმიური შემადგენლობის შესახებ“.**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. მიხ. შალამბერიძე და პროფ. ნ. მახხულია.

29 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, იმავე აუდიტორიაში, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ექიმი **კონსტანტინე თომას-ძე ტუღუშელაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„სიფილისის ნაადრევად და ინტენსიურად მკურნალობის საფუძვლები“.**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. პ. ბუაჩიძე და დოც. ივ. შველიძე.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ლუნაჩარსკის, 12).

დ ი რ ე ქ ც ი ა.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის — 3—06—67; პ/მგ მდივნის მოადგილისა — 3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო, — 3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედროსი — 3—57—61; წერილების — 3—73—24; პ/მგ მორიგისა და გამომშვების — 3—81—65; გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება).

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 41113